www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი, 27 დეკემბერი, 2013 წელი. | №3438 (245) | ფასი 50 თეთრი

„ადამიანის უფლებები ორი წელი ვერ მოიცდის„

დათო გამისონია

პარლამენტმა მოწმის დაკითხვის ახალი წესის ამოქმედების გადავადებას გუშინ კიდევ ერთხელ დაუჭირა მხარი. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის გარდამავალი დებულების მიხედვით, 31 დეკემბრიდან უნდა ამოქმედებულიყო 2009 წელს მიღებული წესი, რომლის თანახმად, გამოძიების ეტაპზე მხოლოდ ბრალდების მხარე სავალდებულო წესით მოწმის ჩვენების მიღებას ვეღარ შეძლებდა. მოწმე ბრალდებისა და დაცვის მხარეების მიერ თანაბარ პირობებში სავალდებულო წესით მხოლოდ სასამართლო პროცესზე დაიკითხებოდა.

კანონპროექტის თანახმად, მოწმის დაკითხვის ახალი წესის ამოქმედების ვადა ორი წლით გადაიწევს. კანონპროექტს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები მწვავედ აკრიტიკებენ. პარლამენტში განხილვის დაწყებამდე რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ ამ საკითხის შესახებ სპეციალური განცხადება გაავრცელა. მათი აზრით, მოწმის დაკითხვის ახალი წესი ბრალდების მხარისთვის ამ დრომდე მინიჭებულ გაუმართლებელ უპირატესობებს აუქმებს და ამ გზით მხარეთა თანასწორობას უზრუნველყოფს. ამასთან, არასამთავრობო ორგანიზაციები მიუთითებენ, რომ კანონპროექტის მიღება სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განვითარებას შეაფერხებს და სისხლის სამართლის პროცესში მხარეების არათანასწორ მდგომარეობას კიდევ ერთხელ გაახანგრძლივებს.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

ჯანდაცვის სამინისტროს პრიორიტეტი - მიღწეულის შენარჩუნება

მთავრობის გუშინდელ სხდომაზე გადაწყდა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისთვის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან დამატებით თანხები გამოიყოფა, რაც ციტრუსის სუბსიდირებას მოხმარდება.

ამასთან, მთავრობის წევრების გადაწყვეტილებით, სპორტის ინდივიდუალურ ოლიმპიურ, არაოლიმპიურ და სპორტის ცალკეულ სათამაშო სახეობებში 2013 წლის პირველი ნოემბრის შემდეგ გამართულ სპორტულ შეჯიბრებში მიღწეული შედეგების მიხედვით, საქართველოს ნაკრები გუნდების წევრები, მწვრთნელები, საექიმო და ადმინისტრაციული პერსონალი ფულადი პრიზებით დაჯილდოვდებიან. ამისთვის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 680 850 ლარი გაიცემა.

გარდა ამისა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობის მიზნით დაფინანსების გამოყოფის საკითხების შემსწავლელი უწყებათშორისო კომისიის რეკომენდაციის საფუძვლებზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისთვის - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის დაფინანსება გამოიყოფა.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

„პარტიზანული მოსამართლეობა"

სააპელაციომ გიგი უგულავას საჩივარი არ დააკმაყოფილა

გიგი უგულავა სააპელაციო საჩივარში მისთვის მერის უფლებამოსილების შეჩერებისა და გირაოს დაკისრების შესახებ საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს ასაჩივრებდა.

21 დეკემბერს საქალაქო სასამართლომ „თბილისის განვითარების ფონდის" საქმეზე წარდგენილ ბრალდებაზე უგულავას აღკვეთის ღონისძიებად 50 000-ლარიანი გირაო შეუფარდა.

22 დეკემბერს კი, დაახლოებით, 01:00 საათზე, იმავე მოსამართლემ დალი მეტრეველმა, ზეპირი მოსმენის გარეშე, პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, დედაქალაქის მერს უფლებამოსილება შეუჩერა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, საქალაქო სასამართლოს აღნიშნული განჩინება ძალაში დარჩა.

როგორც გიგი უგულავას მიერ გავრცელებული განცხადებიდან ირკვევა, მის ადვოკატს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ტელეფონით შეატყობინეს.

„პარტიზანული მოსამართლეობა გრძელდება. ცოტა ხნის წინ ჩემს ადვოკატს ტელეფონით შეატყობინეს, რომ სააპელაციო სასამართლომ (მოსამართლის გვარიც კი არ ვიცი) ძალაში დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება ჩემი უფლებამოსილების შეწყვეტის, შეჩერების თუ გადაყენების შესახებ. ველოდები ზემდგომ თუ ზედამხედველ პროკურორს. მაინტერესებს, კანონით როგორ უნდა მოხდეს აღსრულება. მე კი ბრძოლას საკონსტიტუციო სასამართლოში განვაგრძობ. ბედნიერ შობას და ახალ წელს გისურვებთ. თბილისის „მერი" გიგი უგულავა," - აღნიშნულია განცხადებაში.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

იაპონიის პრემიერი მოულოდნელად იასუკუნის მემორიალს ეწვია

თამთა კახაძე

ცოტა ხნის წინ იაპონიის პრემიერ-მინისტრი სინძო აბე მოულოდნელად მეორე მსოფლიოს ომის მსხვერპლთა მემორიალ იასუკუნის ეწვია. 7 წლის განმავლობაში ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც მოქმედი პრემიერი სტუმრობს იასუკუნის მემორიალს, რომელსაც იაპონიის მეზობელი ქვეყნები (ჩინეთი, სამხრეთ კორეა, ჩრდილოეთ კორეა) იაპონიის მილიტარიზმის სიმბოლოდ მიიჩნევენ.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6643⇓
1 ევრო	2.2110⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.5933⇓
1 თურქული ლირა	0.8622⇓
100 რუსული რუბლი	5.0433⇓

თბილისი	7°C --30°C
ქუთაისი	8°C --2°C
ზუგდიდი	8°C - -1°C
ბათუმი	9°C --2°C

ნავთობი	3.19	+0.00	+0.16%
გაზი	3.58	+0.11	+3.07%
ოქრო	1,743.20	-9.80	-0.56%
ხორბალი	868.50	+12.25	+1.41%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

ჭრიკიშვილმა 2013 წელი იპონით დაასრულა

გიგა გურასაშვილი

წლეულს ევროპის ჩემპიონი გახდა როგორც პირად პირველობაში, ისე გუნდურში. მერე მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლიც მოიპოვა და გუნდური მსოფლიო ჩემპიონობაც. მოგვიანებით საქართველოს ჩემპიონიც გახდა. ამ წარმატებების მერე არავის გაჰკვირვებია, რომ საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ჭრიკიშვილი წლის საუკეთესო სპორტსმენად დაასახელა.

გაგრძელება
მე-<None> გვერდზე

თბილისის ისტორიის მუზეუმის 100 წლის ისტორია კატალოგში

25 დეკემბერს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში გაიმართა კულტურის სამინისტროსა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის ერთობლივი კატალოგის „თბილისის ისტორიის მუზეუმის 100 წლის ისტორია" პრეზენტაცია.

არსებობის 100 წლის მანძილზე მუზეუმი არაერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი ფაქტის მომსწრე გახდა. ფართო საზოგადოებისათვის საინტერესოა როგორც თავად ისტორიული ქარვასლის შენობის, ასევე აქ დაცული კოლექციების შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მიღება.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

გიორგი მარგველაშვილი საკუთარი ხელფასის ოდენობას დემოკრატიული ქვეყნების ტრადიციას უკავშირებს

საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის განმარტებით, მისი ხელფასის ოდენობაში შესწორება დემოკრატიული ქვეყნების ტრადიციებიდან გამომდინარე შეიტანეს.

როგორც გიორგი მარგველაშვილმა ჟურნალისტებს თემის კომენტირებისას განუცხადა, დემოკრატიულ სახელმწიფოებში სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებს უფრო მაღალი ხელფასი აქვთ, ვიდრე - ქვეყნის პრეზიდენტებს.

„თავიდანვე განვაცხადე, რომ ხელფასი ერთიან სისტემაში უნდა მოვიდეს. ჩვენ მივიღეთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოებში უფრო მაღალი ხელფასი აქვთ სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებს და არა ქვეყნის პრეზიდენტებს. ბუნებრივია, როგორც კი დავინახეთ ასეთი პრეცედენტი, თანახმა ვიყავით, რომ საქართველოს პრეზიდენტის ხელფასი იმაზე ნაკლები იყოს, ვიდრე სასამართლო ხელისუფლების მესვეურთა. შესაბამისად, ჩვენ მიერ შეტანილი შესწორება გამომდინარეობს იმ დემოკრატიული ქვეყნების ტრადიციიდან, რომელიც მაგალითად მოგვიტანეს და ამ მაგალითს დავეთანხმეთ," - აღნიშნა გიორგი მარგველაშვილმა.

პრეზიდენტის ხელფასი 6 900 ლარამდე გაიზრდება, ნაცვლად 9 000 ლარისა, როგორც ამას პარლამენტში ინიცირებული კანონპროექტი ითვალისწინებს.

როგორც პრეზიდენტის შრომითი ანაზღაურების გაზრდის ინიციატორმა, უმრავლესობის ლიდერმა დავით საგანელიძემ პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე განმარტა, თავად გიორგი მარგველაშვილი იზიარებს მოსაზრებას, რომ მისი ხელფასი 9 000 ლარამდე არ გაიზარდოს და ამ თვალსაზრისით კანონპროექტი იმგვარად ჩასწორდეს, რომ პრეზიდენტზე მაღალი ხელფასი ჰქონდეთ საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეებს. საგანელიძის თქმით, პრეზიდენტის შრომითი ანაზღაურების ოდენობა 6 900 ლარით განისაზღვრება, რაკი უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეებისთვის, დაგეგმილი ცვლილებებით, 7 ათასი ლარია განსაზღვრული.

მთავარი პროკურატურა როლანდ ახალაიას მიერ გაკეთებულ განცხადებას გამოეხმაურა

მთავარი პროკურატურის განცხადებაში ნათქვამია, რომ მიმდინარე წლის 26 დეკემბერს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელდა სამეგრელო-ზემო სვანეთის ყოფილი საოლქო პროკურორის როლანდ ახალაიას განცხადება, თითქოს საოლქო პროკურორის თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში, სამეგრელოში მოღვაწე ბიზნესმენებმა ანაკლიის სანაპიროზე საპატრიარქოს მშენებლობისთვის ნებაყოფლობით, კანონიერად ჩარიცხეს თანხები შპს „სანის" ანგარიშზე, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს.

„მთავარი პროკურატურის გამოძიებით დადგენილია, რომ როლანდ ახალაიასთან დაახლოებული პირის კუთვნილ შპს „სანის" ანგარიშზე მნიშვნელოვანი თანხები ჩაირიცხა არა ნებაყოფლობით, არამედ როლანდ ახალაიას პირადი დაინტერესებით, შპს „სანის" მიერ სარგებლის მიღების მიზნით, პატიმრობაში მყოფი ბრალდებულების წარმომადგენლებთან საპროცესო შეთანხმების მიღწევის სანაცვლოდ, რასაც უშუალოდ როლანდ ახალაია ახორციელებდა. ჩარიცხული თანხები შპს „სანის" მიერ გახარჯულ იქნა საკუთარი კერძო ინტერესებისთვის და არა საპატრიარქოს რეზიდენციის ასაშენებლად.

ამდენად, როლანდ ახალაიას მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რომ თანხები ჩაირიცხა ნებაყოფლობით და საჯარო ინტერესების გათვალისწინებით, მოგონილია პასუხიმგებლობისგან თავის არიდების მიზნით," - აღნიშნულია მთავარი პროკურატურის განცხადებაში.

ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატი გუშინ პროკურატურაში მოწმის სახით დაკითხვაზე არ გამოცხადდა. როლანდ ახალაია მოითხოვს, რომ მის მიმართ კითხვები საგამოძიებო უწყებებმა საჯაროდ დასვან. როგორც როლანდ ახალაიას მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, იგი მზად არის, საჯაროდ დასმულ კითხვებს საჯაროდვე უპასუხოს.

„ადამიანის უფლებები ორი წელი ვერ მოიცდის„

პირველი გვერდიდან

რიგგარეშე სხდომაზე კანონპროექტის მომხსენებელმა, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ლევან იზორიამ აღნიშნა, რომ ამ ინიციატივის გასამართლებლად საზოგადოებას მყარი არგუმენტები სჭირდება. როგორც ლევან იზორია ამბობს, 2010 წელს ამოქმედებული სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის თანახმად, მოწმის დაკითხვა სავალდებულო არ იქნებოდა და გამოკითხვის ინსტიტუტი შემოვიდა, რომელიც წინა სასამართლო ეტაპზე პირის ნებაყოფლობით გამოცხადებას ითვალისწინებდა. თუმცა, იზორიას თქმით, „ნაციონალური მოძრაობის" უმრავლესობამ კოდექსის ძალაში შესვლისას ამ ნორმის ამოქმედება არ ისურვა, რომელიც იმდროინდელმა უმრავლესობამ 2012 წლის 1 ოქტომბრამდე გადაავადა. შემდეგ კი კვლავ „ნაციონალური მოძრაობის" უმრავლესობამ ამოქმედების ვადა 2013 წლის 31 დეკემბრამდე გადანია.

იზორიას თქმით, ახალმა ხელისუფლებამ ამოქმედების ვადა 2013 წლის სექტემბრამდე გადმოწია, მაგრამ მოგვიანებით ვადა ისევ 2013 წლის 31 დეკემბრამდე გახანგრძლივდა.

ლევან იზორიას განმარტებით, დღეს მოწმის დაკითხვის 1998 წლის წესი მოქმედებს, რომელიც მოწმის წინასასამართლო ეტაპზე სავალდებულო დაკითხვას ითვალისწინებს. იზორიას თქმით, საგამოძიებო ორგანოები ვალდებულნი არიან, მოწმეს ჩვენება ჩამოართვან. ამავე დროს, მოქმედი წესით, ჩვენების მიცემა სასამართლოს არსებით განხილვებზეც სავალდებულოა. **„იმ შემთხვევაში, თუ მოწმე ჩვენების მიცემაზე უარს ამბობს ან ცრუ ჩვენებას იძლევა, ის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ქვეშ ექცევა,"** - აზუსტებს იზორია.

მინისტრის მოადგილე ხელისუფლების პოზიციის ცვლილების მიზეზებზე ამახვილებს ყურადღებას. **„აგვისტოში, აშშ-ს საელჩოს ორგანიზებით, ამერიკის ერთ-ერთ შტატში ვიმყოფებოდი. ამერიკული პრაქტიკის გაცნობის შემდეგ აღმოჩნდა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არსებითი ხარვეზია. საქმე ის არის, რომ აშშ-ში წინა სასამართლო ეტაპზე ჩვენების მიცემის სავალდებულო წესი მოქმედებს. გამომძიებელი პროკურორს შუამდგომლობით მიმართავს და თუ ის საჭიროდ მიიჩნევს, მოწმე ჩვენებას ფიცის ქვეშ იძლევა. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ მოწმე მთავარ სასამართლო სხდომაზე ჩვენებას შეცვლის, პასუხისგებაში მიეცემა. ამერიკელმა კოლეგებმა გაკვირვება გამოხატეს და წინა სასამართლო ეტაპზე ჩვენების მიცემის ვალდებულებაზე უარის თქმა უარყოფითად შეაფასეს,"** - აღნიშნავს ლევან იზორია.

მომხსენებლის თქმით, მოქმედი ინსტიტუტის გაუქმებით გამოძიებას მნიშვნელოვანი მტკიცებულების მოპოვების მნიშვნელოვანი ინსტიტუტი ხელიდან ეცლება. როგორც იზორია ამბობს, ცხელ კვალზე დანაშაულის გამოძიების შესაძლებლობა ნულს უტოლდება. **„ეს საგამოძიებო ორგანოების უუნარობას გამოიწვევს. ამით კრიმინალური სამყარო გაძლიერდება. პროკურატურის უფლებამოსილებები მნიშვნელოვანწილად იზღუდება. ბრალდებულის მხარეს შესაძლებლობა ეძლევა, ბრალდების მხარის მოწმეებზე ზემოქმედება განახორციელოს,"** - დასძენს იზორია.

ლევან იზორია გამოდის წინადადებით, რომ ორი წლის განმავლობაში, კონსენსუსის რეჟიმში, არასამთავრობო სექტორის და ოპოზიციის მონაწილეობით, წინა სასამართლო ეტაპზე მოწმის გამოკითხვის წესზე შეთანხმება შესაძლებელი იყოს. **„პირველი წელი კონსენსუსის მიღწევას უნდა მოხმარდეს, სადაც ყველა ჩართული იქნება. შემდეგ საოქმედო გეგმა უნდა გაიწეროს, რომელიც მთელ რიგ გადამზადების პროცესთან იქნება დაკავშირდებული. ყველას, ვინც დანაშაულთან ეფექტიანი ბრძოლით არის დაინტერესებული, ამის საშუალება უნდა მიეცეს,"** - აღნიშავს იზორია.

საპარლამენტო უმცირესობის პოზიცია სერგო რატიანმა გამოთქვა. მისი თქმით, შსს-ს მოტივაცია სრულიად ბუნებრივი და გასაგებია. როგორც რატიანი ამბობს, „ნაციონალურ მოძრაობას" ლევან იზორიასთან კითხვები არ აქვს. **„კარგი იქნებოდა, ეს კანონპროექტი იუსტიციის მინისტრს გამოეტანა. ასევე, საინტერესოა კომიტეტების თავმჯდომარეების პოზიცია. ლევან იზორიას გამოსვლა კი შთამბეჭდავი იყო, თუმცა მისი გამოსვლა 2012 წელსაც შთამბეჭდავი იყო, როდესაც ამტკიცებდით, რომ ერთი ლიტრი ბენზინის საფასურიდან ერთი ლარი ვიღაცის ჯიბეში მიდიოდა. ამას იზორია ძალიან ხატოვნად გადმოსცემდა,"** - თქვა სერგო რატიანმა.

თანამომხსენებელმა, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ვახტანგ ხმალაძემ და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ეკა ბესელიამ მათი სიტყვისთვის განკუთვნილი დროით არ ისარგებლეს. ამან კი უმცირესობის წევრების აღშფოთება გამოიწვია. „ნაციონალური მოძრაობის" წევრებს სწორედ მათთვის სურდათ კითხვების დასმა. **„ტრიბუნასთან მომხსენებელი იდგა, ახლა კი კითხვის დასმის უფლებას ვერ მოგცემთ,"** - მიმართა უმცირესობის წევრებს სხდომის წამყვანმა, პირველმა ვიცე-სპიკერმა მანანა კობახიძემ.

მოგვიანებით, სიტყვით გამოსვლისას უმცირესობის წევრმა ხათუნა გოგორიშვილმა კობახიძეს მიუთითა, რომ მან პარლამენტის რეგლამენტი დაარღვია. **„ალბათ უცნაურია, თანამომხსენებლები სიტყვით არ გამოსულან, თუმცა მათთვის კითხვის დასმის უფლება პარლამენტის წევრებს მაინც ჰქონდათ,"** - განმარტა გოგორიშვილმა. კობახიძემ კი რეგლამენტიდან ამონარიდი წაიკითხა: **„პარლამენტის წევრს თანამომხსენებლის სიტყვის დასრულების შემდეგ მასთან კითხვის დასმის უფლება აქვს."**

გოგორიშვილმა ყურადღება ხმალაძისა და ბესელიას მოტივაციაზეც გაამახვილა. საპარლამენტო უმცირესობის წევრის თქმით, ხმალაძისა და ბესელიასთვის ადამიანურად ძალიან რთულია, ამტკიცონ ის, რამდენად აუცილებელია ვადის 2 წლით გადაწევა, მაშინ როდესაც წლის დასაწყისში სიამაყით აცხადებდნენ, რომ მოწმის დაკითხვის ახალი წესის ამოქმედებამდე დარჩენილი ვადის შემცირება უაღრესად სწორი და დემოკრატიული ნაბიჯი იყო.

სიტყვით გამოსვლისას უმრავლესობის წევრებს მიმართა საპარლამენტო უმცირესობის წევრმა პავლე კუბლაშვილმა. **„ცდუნება მქონდა, კანონპროექტის შესახებ მესაუბრა, მაგრამ თინა ხიდაშელს როგორ უნდა ავუხსნა ის, რომ მოწმის სასამართლოში დაკითხვა უფრო სწორია, მან ეს ჩემზე უკეთ იცის. ბესელიამაც და კობახიძემაც კარგად იციან, რა არის სწორი. იმაში, რომ ეს წესი აქამდე ვერ ამოქმედდა, წვლილი მეც მიმიძღვის, მაგრამ ეს უნდა გამოსწორდეს. დღეს პარლამენტი იღებს არა გადავადების გადაწყვეტილებას, არამედ ეს ნიშნავს, რომ საქართველოში მოწმის სასამართლოზე დაკითხვის წესი აღარასდროს ამოქმედდება,"** - თქვა პავლე კუბლაშვილმა.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრ ნუკრი ქანთარიას აზრით, დღევანდელ მოცემულობასა და ვითარებაში უმცირესობის ფლანგზე უმრავლესობა დასაკითხია. **„მაგალითად, გიორგი კანდელაკი მოწმის სტატუსით დაკითხვაზე რომ დაიბარონ, მას საჯარო დაკითხვისას შეუძლია, პროცესი შოუდ აქციოს. სხვა შემთხვევაში, ამ ხალხს პროკურატურაში დაიბარებენ და კითხვებს ადამიანურად დაუსვამენ. არ მგონია, რომ ერთ წელიწადში ახალი წესების მისაღებად მზად ვიქნებით. გამომძიებელს და პროკურორს სრულიად სხვა მომზადება დასჭირდებათ და ეს მხოლოდ სიტყვათა მარაგი და განათლება არ არის,"** - აღნიშნავს ქანთარია.

უმცირესობის წევრმა მიხეილ მაჭავარიანმა ნუკრი ქანთარიას მადლობა გადაუხადა იმისთვის, რომ ხშირად პირდაპირ აცხადებს იმას, რასაც სხვადასხვა სახელისუფლებო ორგანოებში ღიად არ ამბობენ. როგორც მაჭავარიანი შენიშნავს, ცვლილების მიზანი ოპონენტების წინააღმდეგ პროკურატურის გამოყენებაა.

ვახტანგ ხმალაძემ სიტყვით გამოსვლის უფლებით მოგვიანებით ისარგებლა. **„კითხვებზე პასუხის გაცემისთვის თავი არ ამირიდებია. კომიტეტის სხდომაზეც იმ განწყობით მივედი, რომ ამ კანონპროექტისთვის მხარი არ დამეჭირა. საკომიტეტო მოსმენაზე კი ლევან იზორიამ არგუმენტები წარმოადგინა. საქმე ის არის, რომ მოწმეთა დაკითხვის დღევანდელი წესი სწორი არ არის. მაგრამ, როცა არგუმენტები მოვისმინე, გავიგე, რომ მეორე უკიდურესობაში გადავვარდებოდით. ასეთი წესით დაკითხვისთვის საგამოძიებო ორგანოები მოუმზადებლები არიან. ამ წესის ამოქმედებამ შესაძლოა, სისტემის პარალიზება გამოიწვიოს. მიმაჩნია, რომ არსებული წესი უნდა შეიცვალოს, მაგრამ არა ასე უკიდურესად. იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა იუსტიციის და შინაგან საქმეთა სამინისტროებს რეკომენდაცია მისცა, მოამზადონ წინადადებები, როგორ უნდა შეიცვალოს არსებული წესი ისე, რომ ოპტიმალური შესაძლებლობა მივიღოთ იმისა, რომ მოწმეზე უკანონო ზემოქმედება თავიდან ავიცილოთ და ამავდროულად დანაშაული გაუხსელი არ დარჩეს,"** - ამბობს ვახტანგ ხმალაძე.

ეკა ბესელიას აზრით, „ნაციონალური მოძრაობა" ხელისუფლების გაბედულების შემმოწმებლად ვერ გამოდგება. **„თქვენ ის ადამიანები ხართ, ვინც მალხაზ არქანიას სხვისი გაუპატიურება ანახეთ და აღიარებითი ჩვენება ასე მიაცემინეთ,"** - მიმართავს უმცირესობის წევრებს ბესელია.

რიგგარეშე სხდომაზე პროტესტი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმაც გამოხატეს. მათ ლევან იზორიას სიტყვით გამოსვლისას სხდომათა დარბაზის სტუმრებისთვის განკუთვნილ იარუსზე (საიდანაც, როგორც წესი, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები სესიას თვალ-ყურს ადევნებენ) ტრანსფარანტები გამოფინეს წარწერით: „ადამიანის უფლებები ორი წელი ვერ მოიცდის", „უთხარით უარი გადავადებას", „დაიცავი დაცვის უფლება".

აქტივისტების ნაბიჯს საპარლამენტო უმცირესობა ოვაციებით შეხვდა. პარლამენტის მანდატურებმა კი ტრანსფარანტები სწრაფად ჩამოხიეს და აქტივისტები დარბაზიდან იძულებით გაიყვანეს.

მანანა კობახიძემ მომხსენებელს სიტყვა შეაწყვეტინა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს მიმართა: **„როდესაც მსგავსი ტიპის პლაკატების გამოკვრა გსურთ, ამისთვის წინასწარ ნებართვის აღებაა საჭირო. რეგლამენტით გათვალისწინებული არ არის, რომ თქვენ აქ დემონსტაციულად გადმოფინოთ გარკვეული სახის პლაკატები."**

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის საპარლამენტო მდივან ნინო ხუხუას თქმით, **„პროტესტი მიმართული იყო იმისკენ, რომ ამოქმედების ვადა მუდმივად გადაიწევა. ჩვენ მშვიდობიანი პროტესტი გამოვხატეთ, არანაირი კანონი არ დაგვირღვევია და მიუღებელი არაფერი ჩაგვიდენია."**

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" საპარლამენტო მდივანი კახა ურიათმყოფელი აღნიშნავს, რომ მათ პროტესტის გამოხატვის სხვა გზა არ ჰქონდათ და კანონპროექტის წინააღმდეგ ამ ფორმით ამიტომ გამოვიდნენ.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ. თილისი, ვაჟა-ფშაველას 45, 14-ე სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

„პარტიზანული მოსამართლეობა"

პირველი გვერდიდან

გიგი უგულავას საჩივრის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებაზე განცხადება გაავრცელა საapელაციო სასამართლომაც.

სასამართლოს ცნობით, მოსამართლე გიორგი მიროტაძის 2013 წლის 26 დეკემბრის განჩინებით, დაუშვებლად იქნა ცნობილი პროკურორ მალხაზ კაპანაძისა და ბრალდებულ გიორგი უგულავას ინტერესების დამცველი ადვოკატების - გიზო უგლავას, გიორგი გელხაურის და ბექა ბასილაიას საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე დალი მეტრეველის 21 დეკემბრის განჩინებაზე ბრალდებულ გიორგი უგულავას მიმართ, აღკვეთის ღონისძიების სახით, გირაოს 50000 ლარის ოდენობით გამოყენების შესახებ.

მოსამართლე გიორგი მიროტაძის 2013 განჩინებით, ბრალდებულ გიორგი უგულავას თანამდებობიდან გადაყენების შესახებ, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე დალი მეტრეველის 2013 წლის 22 დეკემბრის განჩინებაზე, ბრალდებულ გიორგი უგულავას ინტერესების დამცველი ადვოკატების - გიზო უგლავას, გიორგი გელხაურის და ბექა ბასილაიას საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

უგულავას ადვოკატები სააპელაციო საჩივრით მოითხოვდნენ, უგულავასთვის შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმას ან ალტერნატივის სახით პირადი თავდებობის გამოყენებას, ასევე თანამდებობიდან გათავისუფლების გადაწყვეტილების გაუქმებას.

პროკურატურა კი სააპელაციო საჩივრით უგულავასთვის, შეფარდებული გირაოს ნაცვლად, პატიმრობას ითხოვდა.

თბილისის მერის მოადგილე ირაკლი აბესაძის განცხადებით, სასამართლომ კვლავ აარიდა თავი მსჯელობას საკითხზე, თუ ვინ უნდა აღასრულოს სასამართლოს განჩინება და ვინ უნდა გადააყენოს თანამდებობიდან პირდაპირი წესით არჩეული თბილისის მერი.

„სააპელაციო სასამართლომ კვლავ მხარეთა მონაწილეობის გარეშე განიხილა საკითხი და დაადასტურა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება თბილისის მერის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ. სამწუხაროდ, სასამართლომ კვლავ აარიდა თავი, ემსჯელა საკითხზე, თუ ვინ უნდა აღასრულოს სასამართლოს განჩინება და ვინ უნდა გადააყენოს თანამდებობიდან პირდაპირი წესით არჩეული თბილისის მერი. სწორედ ამიტომ იყო მნიშვნელოვანი, რომ მხარეებს მისცემოდათ საშუალება, დასწრებოდნენ ამ პროცესს. დღესაც თბილისის მერიისთვის პასუხგაუცემელია შეკითხვა, ვინ უნდა აღასრულოს სასამართლოს გადაწყვეტილება. ამაზე პასუხი არც საქართველოს პროკურატურას აქვს, რომელსაც დაევალა განჩინების აღსრულების ორგანიზება და ჩვენ წერილობით მივმართეთ ორი დღის უკან, თუმცა პასუხი ჯერ არ გაცემულა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 160-ე მუხლი, რომლითაც სასამართლომ იხელმძღვანელა, პირდაპირ ითვალისწინებს, რომ განჩინება უნდა აღასრულოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირმა, რომელიც პირდაპირი წესით არჩეულ მერს არ ჰყავს," - აღნიშნა ირაკლი აბესაძემ.

ჯანდაცვის სამინისტროს პრიორიტეტი - მიღწეულის შენარჩუნება

პირველი გვერდიდან

ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრ დავით დარახველიძის განცხადებით, მისმა უწყებამ ეკომიგრანტებისთვის საცხოვრებელი სახლების გადანაწილების კრიტერიუმები შეიმუშავა.

მინისტრის თქმით, სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული ოჯახებისთვის 33 საცხოვრებელი სახლია შეძენილი. როგორც დარახველიძემ აღნიშნა, არსებული მონაცემებით, ქვეყანაში 37 ათასი ოჯახია ეკომიგრანტი.

„შესაბამისად, იანვრიდან სამინისტრო მიიღებს განაცხადებს და შეარჩევს იმ ოჯახებს, რომლებმაც შეიძლება, მიიღონ საცხოვრებელი სახლები. სამწუხაროდ, 33 სახლი არ არის საკმარისი იმ რაოდენობისთვის, რაც მოთხოვნაა, თუმცა ცალკეული მწვავე პრობლემების გადაწყვეტა შესაძლებელი იქნება. ასეთი საჭიროებისთვის მომავალი წლის ბიუჯეტში ასიგნებები გაზრდილია," - განაცხადა დარახველიძემ.

სასჯელაღსრულების მინისტრმა სოზარ სუბარმა 2013 წლის მთავარ მიღწევებად სისტემის გაადამიანურება და წამების აღმოფხვრა დაასახელა.

„პრაქტიკულად აღმოფხვრილია ადამიანების წამება, გაუმჯობესდა ჯანდაცვის მომსახურება და ზოგადად დამოკიდებულება პატიმრების მიმართ. მომავალი წლის პრიორიტეტია, ერთი მხრივ, ინფრასტრუქტურის გამართვა, მიღწევების კიდევ უფრო განმტკიცება, მეორე მხრივ, დაწესებულებების და პატიმრების დაყოფა რისკების მიხედვით, რაც კრიმინალური მენტალიტეტის და არაკრიმინალური მენტალიტეტის პატიმრებს ერთმანეთისგან აბსოლუტურად გამიჯნავს," - განაცხადა სუბარმა.

ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგეენკოს თქმით კი, 2014 წელს ჯანდაცვის სამინისტროს ძირითადი პრიორიტეტი მიღწეულის შენარჩუნება იქნება.

სერგეენკოს განმარტებით, უწყებისთვის ასევე აუცილებელია ხარისხის კონტროლისა და განფასებების ერთიანი სისტემის დანერგვა.

„მომავალ წელს ჩვენი ძირითადი პრიორიტეტი იქნება მიღწეულის შენარჩუნება ანუ საყოველთაო ჯანდაცვა, ასევე სამინისტროს სერვისებისა და მედიკამენტების ხარისხის კონტროლის სისტემის დანერგვა და განფასებების ერთიანი სისტემის შექმნა. ამ ორი ფაქტორის არარსებობა ძალიან გვიშლის ხელს და მათი ამუშავების შემთხვევაში ფინანსური ეფექტურობა, სულ მცირე, 30 პროცენტით გაიზრდება," - აღნიშნა სერგეენკომ.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრ დავით ნარმანიას განცხადებით, რუსთავი-თბილისის ავტომაგისტრალზე სამშენებლო სამუშაოები უახლოეს მომავალში დაიწყება.

მინისტრის ინფორმაციით, აზიის განვითარების ბანკმა უკვე დაასრულა სატენდერო პროცედურები და ტენდერში გამარჯვებული კომპანია გამოვლენილია. სახელმწიფომ ამ კომპანიასთან ხელშეკრულება უკვე გააფორმა. საავანსო გარანტიის წარმოდგენის შემდეგ კომპანიას თანხა ჩაერიცხება, რის შემდეგაც სამუშაოები დაიწყება.

ამასთან, მთავრობის გუშინდელ სხდომაზე საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩების დანიშვნისა და გათავისუფლების საკითხები განიხილეს.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, უკრაინაში საქართველოს ელჩი მიხეილ უკლება სუამში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის თანამდებობას შეითავსებს.

გარდა ამისა, როტაციის ვადის გასვლის გამო თანამდებობიდან სამი ელჩი შეიცვლება. ესენი არიან ინდოეთში საქართველოს ელჩი ზურაბ კაჭკაჭიშვილი, ვატიკანში საქართველოს ელჩი ქეთევან ბაგრატიონ-მუხრანბატონი და ნიდერლანდების სამეფოში საქართველოს ელჩი შოთა ღვინერია. ისინი თანამდებობებს ვადის ამოწურვის შესაბამისად, ეტაპობრივად დატოვებენ.

მეგის ქარდავას ბრალი დაუმძიმდა

პირველი გვერდიდან

პატიმარ მალხაზ არქანიას წამების საქმეზე გამოძიება განახლდა და ვიქტორ ყაჭეიშვილის, ოთარ ფაცაციას და მეგის ქარდავას ბრალი დაუმძიმდათ.

საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ ტერორისტული აქტის მომზადების აღიარების მიზეზად, პატიმრის წამების ფაქტზე ბრალდებულების სახით პასუხისგებაში მიეცნენ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მე-8 დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების ყოფილი უფროსი ვიქტორ ყაჭეიშვილი და ამავე დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების ყოფილი უფროსი ოლეგ ფაცაცია, ხოლო შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე მეგის ქარდავას ბრალი დაუსწრებლად წარედგინა.

გამოძიებით დადგინდა, რომ 2011 წლის მაისში, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მე-8 დაწესებულებაში ნარკოტიკული ნივთიერების შეძენა-შენახვის ფაქტზე მოთავსებულ პატიმარ მალხაზ არქანიას მეგის ქარდავამ მოსთხოვა გაურკვეველი ტერორისტული აქტების მომზადებაში მონაწილეობის აღიარება, ასევე ამ ტერორისტულ აქტებში მონაწილე სხვა პირების წინააღმდეგ ჩვენების მიცემა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი გაუპატიურებით დაემუქრა. მალხაზ არქანიასგან კატეგორიული უარის მიღების შემდეგ, მეგის ქარდავას მითითებით, სად-ის 8 დაწესებულების თანამშრომელმა ვიქტორ ყაჭეიშვილმა, გამოძიებით დაუდგენელ სხვა პირებთან ერთად, იგი ჩაიყვანა ციხის ე.წ. „კარანტინში", სადაც დაუდგენელი მამაკაცის გაუპატიურების ფაქტი აყურებინეს, რის შემდეგაც მეგის ქარდავა მალხაზ არქანიას დაემუქრა, რომ თუ სასურველ აღიარებით ჩვენებას არ მიცემდა, მასაც იგივე ბედი ეწეოდა.

უარის მიღების შემდეგ მეგის ქარდავამ, ვიქტორ ყაჭეიშვილთან, ოლეგ ფაცაციასთან და გამოძიებით დაუდგენელ სხვა პირებთან ერთად, მალხაზ არქანია სასტიკად აწამა. მისი ცემა-წამება რამდენიმე საათს გრძელდებოდა. მალხაზ არქანიას საბოლოოდ ფსიქოლოგიურად გასატეხად, იგი ერთ-ერთ საკანში შეიყვანეს, სადაც ნიღბებში გამოწყობილი სხვა პატიმრების გამოყენებით სქესობრივი ძალადობის ინსცენირება მოუწყვეს, რაც ფოტოკამერაზე დაიფიქსირეს, სურათი კი მეგის ქარდავას გადასცეს. ცემის, წამების, ფოტოსურათების გავრცელების და ფიზიკური შეურაცხყოფის გაგრძელების შიშით, მალხაზ არქანია იძულებული გახდა, თავისი მწამებლებისთვის ხელსაყრელი ე.წ. აღიარებითი ჩვენებისთვის ხელი მოეწერა. 2011 წლის მაისიდან 2012 წლის თებერვლამდე პერიოდში ე.წ. „ტერაქტების" საქმის ფარგლებში მალხაზ არქანია არაერთხელ დაიკითხა, რა დროსაც ხდებოდა ცემა-წამებით მისი დაპირისპირება იმავე საქმეში თითქოსდა მხილებულ სხვა პირებთან. ერთ-ერთი დაპირისპირების დროს სასურველი ჩვენების მისაღებად მეგის ქარდავამ მალხაზ არქანიას თავზე იარაღი მიადო და დახვრეტის იმიტაცია მოახდინა. ასევე ზეწოლის შედეგად მალხაზ არქანია აიძულეს, უარი ეთქვა მისი უფლებების დამცველ ადვოკატებზე. მასზე განხორციელებული წამების არაერთი ფაქტის გამო მალხაზ არქანიამ თვითმკვლელობაც სცადა," - ნათქვამია პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

გამოძიება საქართველოს სსკ-ის 144 პრიმა მუხლის მეორე ნაწილით გრძელდება, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 9-დან 15 წლამდე ვადით.

საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელთა განცხადებით, მალხაზ არქანიას წამების შესახებ ინფორმაცია 2011 წლიდან არსებობს, რასაც შესაბამისი რეაგირება თავის დროზე უნდა მოჰყოლოდა.

„პირადად ვნახე მალხაზ არქანია, რომელიც ნაწამები იყო. მას წამების კვალი აღენიშნებოდა და შველას ითხოვდა. ეს არის თანამდებობის პირების მიერ განხორციელებული უმძიმესი დანაშაული და ვითხოვ, რომ ყველა ის ადამიანი, რომელიც წამებასა და არაადამიანურ მოპყრობაში მონაწილეობდა, მკაცრად დაისაჯოს," - განაცხადა ადამიანთა უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ეკა ბესელიამ.

სასჯელაღსრულების მინისტრ სოზარ სუბარის განცხადებით, მალხაზ არქანიას საქმე ერთ-ერთი მკაფიო მაგალითია წამების იმ მრავალი ფაქტიდან, რომლებსაც სისტემური ხასიათი ჰქონდათ.

სუბარი მიიჩნევს, რომ მალხაზ არქანია ერთადერთი ადამიანია, რომლის საქმე გახმაურებისთანავე საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა, თუმცა ამას რეაგირება არ მოჰყოლია.

„მალხაზ არქანიამ თავიდანვე განაცხადა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შესახებ, თუმცა ეს უყურადღებოდ დარჩა და გამოძიება არც კი დაწყებულა. დღეს გამოძიება ჩატარდა, ბოლომდე მივიდა, გამოვლენილი არიან დამნაშავეები და ისინი აუცილებლად აგებენ პასუხს. ეს არის ერთი ნათელი, მკაფიო, მაგრამ მაინც მცირედი მაგალითი წამების იმ მრავალრიცხოვანი ფაქტებიდან, რომლებსაც სისტემური ხასიათი ჰქონდათ. არქანიას წამებაში ბრალდებულ ადამიანებს ძალიან ბევრ სხვა საქმეშიც ედებათ ბრალი. ორი მათგანი თეთრაძის წამებაშიც მონაწილეობდა," - განაცხადა სუბარმა.

სასჯელაღსრულების მინისტრის თქმით, **„ელენე თევდორაძე, რომელიც უმრავლესობის წევრი იყო, ყოველთვის ახსენებდა მეგის ქარდავას, როგორც ერთ-ერთ მწამებელს, მაგრამ ამას ყურადღება არ ექცეოდა. შაშკინს, სხვა ტიპის განცხადებების კეთების ნაცვლად, სჯობდა, ამ ადამიანების წამებისთვის მიექცია ყურადღება.**

გიორგი მარგველაშვილი - მთავარი პროკურორის თემა აღმასრულებელ ხელისუფლებას ეხება

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას, როდესაც მედიის წარმომადგენლები საქართველოს მთავარი პროკურორის ოთარ ფარცხალაძის დიპლომითა და მისი შესაძლო ნასამართლობის შესახებ ინფორმაციით დაინტერესდნენ, განაცხადა, რომ მასთან განათლების შესახებ კითხვა არაადეკვატურია, რადგან არც არქივში მუშაობს და არც ის ადამიანია, რომელიც დიპლომებს ამოწმებს.

„დიპლომის ავთენტიკურობის შესახებ შეკითხვა პრეზიდენტთან არ არის. ასეთ კითხვებს უსვამენ ან შესაბამისი უწყებების წარმომადგენლებს, ან არქივის წარმომადგენლებს," - განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

რაც შეეხება მთავარი პროკურორის თანამდებობაზე დანიშვნის ან მოხსნის საკითხს, გიორგი მარგველაშვილმა უპასუხა, რომ საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტში წარადგენს არა მთავარ პროკურორსა და მინისტრების კანდიდატურებს, არამედ პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას.

„შესაბამისად, პროკურორის თემა ეხება აღმასრულებელ ხელისუფლებას, ეხებათ იმ პირებს, ვინც ამ თემას კურირებენ. მივცეთ მათ შესაძლებლობა, თავიანთი პოზიცია ჩამოაყალიბონ," - განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

ირაკლი ეზუგბაია საქართველოში დაბრუნების სურვილს გამოთქვამს

შპს „საქართველოს რკინიგზის" ყოფილი უფროსი ირაკლი ეზუგბაია საქართველოში დაბრუნების სურვილს გამოთქვამს. როგორც ირაკლი ეზუგბაიამ ტელეკომპანია „იმედს" განუცხადა, მის წინააღმდეგ მტკიცებულებები არ არსებობს.

„საქართველო არის ჩემი სამშობლო, წლების განმავლობაში ვემსაუბრე ჩემს ქვეყანს, ძალიან პატიოსნად და მომავალშიც ვაპირებ, ვემსახურო. დაველოდები სასამართლოს გადაწყვეტილებას და ამის მიხედვით მივიღებ გადაწყვეტილებას. ის, რომ საქართველოში ჩამოვალ, ეს მიშვნელოვანია. როგორც არ უნდა დამთვრდეს სასამართლო, არ არსებობს მტკიცებულებები ჩემ საწინააღმდეგოდ. თქვენ ვერ ნახავთ ვერც ერთ ადამიანს, რომელიც იტყვის, რომ ირაკლი ეზუგბაიასთვის რაიმე სახის ქრთამი აქვს მიცემული რაიმე ფორმით," - აცხადებს ეზუგბაია.

ამასთან, საქართველოში დაბრუნების სურვილის შესახებ ეზუგბაიას განცხადება ტელეკომპანია «მაესტრომაც» გაავრცელა.

რკინიგზის ყოფილ დირექტორს ბრალი ედება სახელმწიფოსთვის დიდი ოდენობით ზარალის მიყენებაში. საუბარია ვაგონშემკეთებელ ქარხანასთან 2008 წელს გაფორმებულ ხელშეკრულებაზე. მიმდინარე წლის მაისში საქმეზე დაკავებული სხვა პირები სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს, ეზუგბაიაზე კი ძებნა გამოცხადდა.

სასამართლო მერაბიშვილისა და ჭიაბერაშვილის საქმის შესახებ განცხადებას ავრცელებს

ივანე მერაბიშვილისა და ზურაბ ჭიაბერაშვილის საქმის ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განცხადებას „ინტერპრესნიუსი" უცვლელად გთავაზობთ :

„2013 წლის 26 დეკემბერს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ გააკეთა საჯარო განცხადება, რომელიც ეხება მიმდინარე წლის 25 დეკემბერს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში ზურაბ ჭიაბერაშვილისა და ივანე მერაბიშვილის ბრალდების საქმეზე გამართულ დახურულ სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულების - მოწმის ჩვენების - დეტალების აღნერას.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს შეუძლია, მხარის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში, 25 დეკემბრის სასამართლო სხდომა აჭარის ა/რ კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი უფროსის - თეიმურაზ პატარიძის მოწმის სახით დაკითხვის ნაწილში დახურული იყო.

ამასთან, კანონის თანახმად, სასამართლოს შეუძლია, დაავალდებულოს დახურულ სხდომაზე დამსწრე პირი, არ გაახმაუროს ის ინფორმაცია, რომელიც მისთვის ამ სხდომაზე გახდა ცნობილი, რაც კონკრეტულ შემთხვევაში განხორციელდა კიდეც. მიუხედავად ამისა, ბრალდების მხარემ აღნიშნული ვალდებულება არ შეასრულა.

სასამართლო აცხადებს, რომ დახურულ სასამართლო სხდომაზე მიღებული ინფორმაციის გაუხმაურებლობის ვალდებულება ვრცელდება როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარეზე, ასევე - დახურულ სასამართლო სხდომაზე დამსწრე ყველა პირზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ყველა პირი, ადვოკატები, და უპირველეს ყოვლისა, პროკურორი და მთავარი პროკურატურა პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ თავიანთი მოვალეობის შესრულებას და დაიცვან კანონისა და სასამართლოს მითითებები," - აღნიშნულია განცხადებაში.

მთავრობის სარეზერვო ფონდიდან „საზოგადოებრივ მაუწყებელს" მილიონ-ნახევარი ლარი გამოეყო

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან „საზოგადოებრივ მაუწყებელს" მილიონ-ნახევარი ლარი გამოეყო. განკარგულების პროექტი „საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან სსიპ «საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის» თანხის გამოყოფის შესახებ" მთავრობის გუშინდელ სხდომაზე დამტკიცდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს" ფინანსთა სამინისტროში განუმარტეს, „საზოგადოებრივ მაუწყებელს" მთავრობის სარეზერვო ფონდიდან მილიონ-ნახევარი ლარი შეუფერხებელი ფუნქციონირებისთვის გამოეყო.

არსებული ინფორმაციით, „საზოგადოებრივ მაუწყებელს" ფინანსური პრობლემები აქვს, კერძოდ, ცარიელია სახელფასო ფონდი, რის გამოც მაუწყებელში დეკემბრის თვის ხელფასის გაცემა დაგვიანდა.

რუსული კომპანია სირიაში ნავთობს მოიძიებს

სახელმწიფოთაშორისო კომპანიამ «სოიუზნეფტეგაზმა» და სირიის ხელისუფლებამ სირიის შელფზე ნავთობის მოძიების შესახებ შეთანხმებას მოაწერეს ხელი. შეთანხმების თანახმად, რომელიც 25 წელზეა გათვლილი, რუსულ-ბელარუსული კომპანია სამუშაოების ჩატარებას შელფის 2000 კმ-ზე შეძლებს. სირიის ენერგეტიკის მინისტრ ალი აბასის განცხადებით, სამუშაოებს მთლიანად რუსული მხარე აფინანსებს. სირიაში, როგორც ცნობილია, 2011 წლის მარტიდან სამოქალაქო ომი მიმდინარეობს, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის ნაპირებზე სამუშაოების ჩატარება უსაფრთხო არ იქნება. რუსულ-ბელარუსული კომპანია 2000 წელს შეიქმნა, კომპანიას რუსეთის ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი იური შაფრანიკი ხელმძღვანელობს. „ბი-ბი-სი“-ს ინფორმაციით, სირიის ხელისუფლება შელფის დამუშავების შესახებ მოლაპარაკებებს ადრე ჩინეთთანაც აწარმოებდა.

ბრაზილიაში ძლიერ წვიმას 40 ადამიანი ემსხვერპლა

ბრაზილიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ძლიერ წვიმას, რომელიც რამდენიმე დღის განმავლობაში გრძელდებოდა, 40 ადამიანი შეეწირა. წვიმის შედეგად ყველაზე მეტად ესპირიტ-სანტას შტატი დაზარალდა. შტატის 48 000 მოსახლე იძულებული გახდა, საცხოვრებელი სახლები დაეტოვებინა. მინას-ჟერაისის შტატში სტიქიის შედეგად 17 ადამიანი დაიღუპა, მათ შორის 7 წლის ბავშვი. ამ შტატის 24 ქალაქში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა.

კაროში ავტობუსში აფეთქება მოხდა

„როიტერის“ ინფორმაციით, ხუთშაბათს ეგვიპტის დედაქალაქ კაიროში ავტობუსში აფეთქება მოხდა. ქვეყნის სახელმწიფო ტელევიზიის ცნობით, აფეთქების შედეგად რამდენიმე ადამიანი დაშავდა. ცოტა ხნის წინ ეგვიპტის ქალაქ მანსურში პოლიციის შენობასთან ასევე იყო აფეთქება, რასაც 15 ადამიანი ემსხვერპლა.

თურქეთის პრეზიდენტმა მთავრობის ახალი შემადგენლობა დაამტკიცა

თურქეთის პრეზიდენტმა აბდულა გიულმა პრემიერ რეჯეპ ტაიპ ერდოღანის მიერ წარდგენილი მთავრობის ახალი შემადგენლობა დაამტკიცა. ცვლილებები ცხრა უწყებას შეეხო. ანტოკორუფციული სკანდალის გამო თანამდებობა სამმა მინისტრმა დატოვა: შინაგან საქმეთა, ეკონომიკის და გარემოს დაცვის და ქალაქდაგეგმარების მინისტრებმა. ამ მინისტრების ვაჟები 17 დეკემბერს კორუფციის ფაქტზე გამოძიების ფარგლებში დააკავეს. შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე მუამარ გიულერს ეფკან ალა შეცვლის; ეკონომიკის მინისტრ ზაფერ ჩაგლაინს - ნიხატ ზეიბეკში. შინაგან საქმეთა მინისტრმა მუამარ გიულერმა გადადგომის წინ განაცხადა, რომ ეს პოლიტიკური მოტივებით ნაკარნახევი კამპნიაა, რომლის მიზანიც 2014 წლის მუნიციპალური არჩევნების ჩაშლაა.

შეიარაღებულმა მებრძოლებმა ლიბიის ცენტრალური ბანკისა და პორტის შესასვლელები ჩაკეტეს

„როიტერის“ ინფორმაციით, ათობით შეიარაღებულმა მებრძოლმა ლიბიის დედაქალაქ ტრიპოლში ცენტრალური ბანკის და პორტის შესასვლელები გადაკეტა. შეიარაღებული მებრძოლები პრემიერ-მინისტრ ალი ზეიდანის გადადგომას მოითხოვენ. თვითმხილველების თქმით, ცენტრალური ბანკის თანამშრომლებს სახლში წასვლა უბრძანეს. ცნობისათვის - ლიბიის ლიდერ მოამარ კადაფის ჩამოდგებაში ათობით შეიარაღებული დაჯგუფება მონაწილეობდა, რომლებიც იარაღის ჩაბარებაზე ამ დრომდე უარს აცხადებენ.

ტაილანდში დემონსტრანტებთან შეტაკებისას პოლიციელი დაიღუპა

ტალანდის დედაქალაქ ბანგკოკში ანტისამთავრობო დემონსტრაციის დროს დემონსტრანტებსა და ძალოვნების შორის მომხდარ შეტაკებას ერთი პოლიციელი ემსხვერპლა. „ის მკერდში მიყენებული ჭრილობით გარდაიცვალა,“ - განაცხადა ადგილობრივი საავადმყოფოს ექიმმა. ადრე გავრცელდა ინფორმაცია, რომ შეტაკების შედეგად 40 დემონსტრანტი და სამი პოლიციელი დაშავდა. გასულ თვეში დაწყებული დემონსტრაციების დროს მოქმედ პრემიერ იინგლაკ ჩინავატს პარლამენტის დათხოვნას და ახალი არჩევნების ჩატარებას სთხოვდნენ. პრემიერმა ახალი არჩევნების ვადა დანიშნა, თუმცა დემონსტრანტები ახლა ამ არჩევნების წინააღმდეგ გამოდიან. ოპოზიციური «დემოკრატიული პარტიის» განცხადებით, მათ 2 თებერვალს დანიშნულ არჩევნებში გამარჯვების შანსი არ აქვთ. ამის გამო სტაიდიონზე, სადაც არჩევნებში მონაწილეობის მსურველთა რეგისტრიაცია უნდა დასრულებულიყო, ოპოზიციის მომხრეები შეიჭრნენ. პოლიცია იძულებული გახდა, ცრემლსადენი გაზი და რეზინის ტყვიები გამოეყენებინა. საარჩევნო კომისიის თანამშრომლებმა, რომლებიც სტადიონიდან ვერტმფრენებით გაიყვანეს, მთავრობას არჩევნების თარიღის გადაწევის თხოვნით მიმართეს.

მოამზადა თამთა კახაძემ

ექსპერტები არაფატის სიკვდილის მიზეზებზე კვლავ ვერ თანხმდებიან

რუსეთის ფედერალურმა სამედიცინო-ბიოლოგიურმა სააგენტომ განაცხადა, რომ პალესტინის ყოფილი ლიდერი იასირ არაფატი 2004 წელს ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა და არა - რადიაციული ზემოქმედებით. ცოტა ხნის წინ მსგავს დასკვნამდე მისვლის შესახებ ფრანგებმა გამოაცხადეს. თუმცა შვეიცარიელი ექსპერტები კვლავ დაჟინებით ამტკიცებენ, რომ მათი გამოკვლევის შედეგები, გარკვეული თვალსაზრისით, ადასტურებს პოლონიუმ 210-ით მოწამვლის შედეგად არაფატის ძალადობრივი სიკვდილის ვერსიას.

„ყველა ექსპერტიზა დავასრულეთ, ჩვენ დაგვეთანხმნენ. არანაირი განმეორებითი გამოკვლევა არ არის საჭირო. ადამიანი გარდაიცვალა საკუთარი სიკვდილით და არა რადიაციული ზემოქმედებით,“ - განაცხადა ხუთშაბათს რუსული სააგენტოს ხელმძღვანელმა ვლადიმირ უიბამ. ამავე სააგენტოს პრესმდივანმა ალექსანდრ ვლასოვმაც დაადასტურა, რომ კვლევა ჯერ კიდევ შემოდგომაზე დასრულდა, თუმცა დეტალები არ ხმაურდება.

მანამდე ფრანგმა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტებმა ასევე გამორიცხეს არაფატის მოწამვლის შესაძლებლობა. ეს მეცნიერებიც იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ პალესტინის ყოფილი ლიდერი ზოგადი ინფექციით გარდაიცვალა, თუმცა ფრანგი სპეციალისტების მოხსენების ტექსტიც საჯაროდ არ გამოქვეყნებულა.

პოლონიუმით შესაძლო მოწამვლის ვერსია შვეიცარიელი ექსპერტების ჯგუფმა წამოაყენა და ამ ვერსიას იასირ არფატის ქვრივმა სუხა არაფატმა დაუჭირა მხარი. შვეიცარელების დასკვნაში ნათქვამია, რომ პალესტინის ლიდერის სხეულში „პოლონიუმის მოულოდნელად მაღალი დონეა“ აღმოჩენილი. მოხსენებაში ასევე წერია, რომ მეცნირების დასკვნებმა შეიძლება, დაადასტუროს ბევრი პალესტინელის ეჭვი იმის შესახებ, რომ არაფატი მოწამლეს.

„გავრცელდა შვეიცარიელების საკმაოდ ამბიციური განცხადება, მაგრამ მათ ის უარყვეს და დაეთანხმნენ ჩვენს დასკვნას. ფრანგებმაც დაადასტურეს ჩვენი დასკვნები,“ - განაცხადა გუშინ ვლადიმირ უიბამ.

ლოზანის უნივერსიტეტის სასამართლო მედიცინის ცენტრში განცვიფრებულები დარჩნენ ვლადიმირ უიბას განცხადებით და აღნიშნეს, რომ მათ მიერ 10 ნოემბერს გამოქვეყნებულ მოხსენებაში გამოთქმული დასკვნები კვლავ ძალაში რჩება. „ჩვენ ბოლომდე დარწმუნებულნი ვართ ჩვენი დასკვნების სისწორეში,» - განუცხადა „ბი-ბი-სის“ შვეიცარიული ცენტრის პრესმდივანმა დარსი კრისტენმა. «რუსულ გუნდთან არანაირი კონტაქტი არ გვქონია, აქედან გამომდინარე არ გვესმის, საიდან მოიტანა ამ ბატონმა (ვლადიმირ უიბამ) ეს ინფორმაცია. ეს ძალიან უჩვეულოა,“ - ამბობს კრისტენი, - „სამეცნიერო თვალსაზრისით არაფერი შეცვლილა. ჩვენ არასდროს გვითქვამს, რომ საბოლოო დასკვნამდე მივედით. ვაცხადებდით, რომ ჩვენი კვლევა გარკვეული თვალსაზრისით ადასტურებს ვერსიას არაფატის პოლონიუმ 210-ით მოწამვლის შესახებ. ვეთანხმებით იმ აზრს, რომ სიკვდილის შემდეგ გასული დრო და იმ ნიმუშების ბუნება, რომლებიც შევისწავლეთ, საბოლოო დასკვნის გაკეთების საშუალებას არ იძლევა.»

დამატებითი კვლევების აუცილებლობის შესახებ კითხვაზე კრისტენმა აღნიშნა, რომ შვეიცარიელი მეცნიერების დასკვნები მთლიანად გამოქვეყნებულია, განსხვავებით ფრანგი და რუსი მეცნიერების მოხსენებებისგან. „აკეთებენ განცხადებებს, მაგრამ არ აქვეყნებენ კვლევის შედეგებს. სამეცნიერო საზოგადოებაში მიღებულია შედეგების გამოქვეყნება, რათა ადამიანებმა ერთმანეთს შეადარონ სხვადასხვა ჯგუფების მიერ გაკეთებული დასკვნები. ჩვენ მხოლოდ სამეცნიერო სამუშაო გავწიეთ, არანაირი ზეწოლის ან გეოპოლიტიკური ზეგავლენის ქვეშ არ ვყოფილვართ. შესაძლოა, ასეთ ზეგავლენას სხვა ჯგუფები განიცდიდნენ, არ ვიცი,“ - დაასკვნა დარსი კრისტენმა.

არაფატის ოფიციალურ სამედიცინო ბარათში წერია, რომ იგი გარდაიცვალა ინსულტით, რისი მიზეზიც სისხლის დაავადება გახდა. თუმცა მაშინ ფრანგმა ექიმებმა ვერ შეძლეს, განესაზღვრათ, თუ რამ გამოიწვია ეს დაავადება. პალესტინელებიდან ბევრი ამტკიცებდა, რომ პალესტინის ავტონომიის ხელმძღვანელი მოწამლეს და მის სიკვდილში ისრაელს სდებდნენ ბრალს. ისრაელი კი ამ ბრალდებას უარყოფს.

შარშან განხორციელდა იასირ არაფატის ცხედრის ექსგუმაცია ექსპერტიზის ჩასატარებლად. ფრანგების და შვეიცარიელების გარდა, რომლებიც სუხა არაფატის თხოვნით ამ საკითხს თავიდანვე იკვლევდნენ, პალესტინელებმა საქმეში რუსებიც ჩართეს. მანამდე, 2012 წლის ივლისში „ალ-ჯაზირამ“ ეთერში გაუშვა დოკუმენტური ფილმი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ შვეიცარიის რადიაციული ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლებმა არაფატის პირად ნივთებში, მათ შორის კუფიაში (თავსაბურავი) აღმოაჩინეს მაღალრადიაქტიური ტოქსიკური მასალის კვალი. მათ ეს ნივთები ექსპერტიზისთვის არაფატის ქვრივმა გადასცა. შვეიცარიელი მეცნიერები მაშინაც ამბობდნენ, რომ საბოლოო დასკვნების გაკეთება არ შეუძლიათ, რადგან არაფატის სიკვდილიდან ბევრი დროა გასული.

პალესტინის ელჩმა რუსეთში ფაედ მუსტაფამ მედიას განუცხადა, რომ რუსი ექსპერტების დასკვნები იასირ არაფატის სიკვდილის გარემოებების საერთაშორისო გამოძიებას ვერ შეაჩერებს.

იაპონიის პრემიერი მოულოდნელად იასუკუნის მემორიალს ეწვია

პირველი გვერდიდან

სამივე ქვეყანა მეორე მსოფლიო ომის დროს იაპონიის აგრესიის შედეგად დაზარალდა. მეზობელი ქვეყნები ყოველთვის აპროტესტებენ იაპონელი მაღალჩინოსნების მიერ ამ მემორიალის მონახულებას, რასაც სამხედრო დამნაშავეთათვის პატივის მიგებად აფასებენ.

სინძო აბე პრემიერის პოსტზე იყო 2006-2007 წლებშიც, თუმცა მაშინ განაცხადა, რომ ამ მემორიალზე მისვლის საკითხს არც განიხილავს, სანამ ეს დიპლომატიურ პრობლემად რჩება. აქამდე ბოლო პრემიერი ძუნიტირო კოიძუმი იყო, რომელიც ამ მემორიალს ყოველწლიურად სტუმრობდა და, როგორც ზემოთ ვწერდით, ასეთი ბოლო შემთხვევა 2006 წელს იყო. ამ ვიზიტებს იაპონიისა და მისი აზიელი მეზობლების ურთიერთობის გაცივების უმთავრეს ფაქტორად ასახელებდნენ.

იასუკუნში იაპონიის ის ლიდერებიც არიან დაკრძალულნი, რომლებიც სამხედრო დანაშაულის ჩადენაში ცნეს დამნაშავეებად. ჩინეთმა და სამხრეთ კორეამ იაპონიის პრემიერს ამ შეცდომის გამოსწორებისკენ უკვე მოუწოდეს.

სინძო აბემ კი განაცხადა, რომ „მას ჩინეთისა და კორეის მოსახლეობის გაღიზიანების განზრახვა არ ჰქონია“ და დასძინა, რომ მისი მიზანი გარდაცვლილთა სულებისთვის ლოცვა იყო. მინისტრთა კაბინეტის ოფიციალური წარმომადგენლების განმარტებით, სინძო აბე მემორიალს ესტუმრა, როგორც კერძო პირი და ის ამ კონკრეტულ შემთხვევაში მთავრობას არ წარმოადგენდა. ვიზიტი იაპონურმა ტელეარხებმა პირდაპირ ეთერში გადასცეს.

ჩინეთის დიპლომატიურმა უწყებამ სინძო აბეს ვიზიტს „უტიფარი“ საქციელი უწოდა. „ეს ვიზიტი ჩინეთის და აზიის სხვა ქვეყნების მოსახლეობის შეურაცხყოფაა,“ - ნათქვამია ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

„სი-ენ-ენ“-ის ინფორმაციით, ამ ვიზიტის გამო იმედგაცრუება ტოკიოში ამერიკის საელჩომ უკვე გამოთქვა: „იაპონია ჩვენი მნიშვნელოვანი მეგობარი და მოკავშირეა. თუმცა, ამერიკა იმედგაცრუებულია, როდესაც იაპონიის ხელმძღვანელობა ისეთ ქმედებას ჩადის, რომელიც მეზობლებთან დაძაბულობის გაღრმავებას უწყობს ხელს.“

იასუკუნის მემორიალზე მეორე მსოფლიო ომის ასობით სამხედრო დამნაშავეა დაკრძალული, რომლებიც 1945 წელს ტოკიოს სამხედრო ტრიბუნალმა გაასამართლა. მათ შორის არის გენერალი ხიძკი ტოძიოკი, იგი ომის დროს მთავრობის მეთაური იყო და 1948 წელს სიკვდილი მიუსაჯეს სამხედრო დანაშაულისთვის. იაპონიის უნივერსიტეტის აზიური სწავლების დირექტორის ჯეფ კინგსტონის თქმით, იაპონიის ლიდერების მსგავსი ქმედება არსებული ტერიტორიული დავების მოგვარებას ხელს უშლის. აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვაში მდებარე სენკაკუს კუნძულებზე პრეტენზიას, იაპონიის გარდა, ჩინეთიც აცხადებს და ამ ვიზიტის შემდეგ დაძაბულობის ჩაცხრობა გაძნელდება.

1970-იან წლებში იაპონიის ხელისუფლებამ მიაღწია დაუწერელ შეთანხმებას, რომ მისი ლიდერები მემორიალს არ ესტუმრებოდნენ. ამჯერად სინძო აბემ ეს შეთანხმება დაარღვია. სინძო აბეს ბაბუა ნობუსუკე კისი მეორე მსოფლიო ომის დროს მრეწველობის მინისტრი იყო. იაპონიის კაპიტულაციის შემდეგ ისიც დააპატიმრეს, თუმცა მისთვის ბრალი არ წაუყენებიათ და შემდეგში პრემიერ-მინისტრიც კი გახდა.

თბილისის ისტორიის მუზეუმის 100 წლის ისტორია კატალოგში

პირველი გვერდიდან

პროექტის ხელმძღვანელი გახლავთ ისტორიკოსი მედეა თავაძე, რომელმაც მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომლებთან ერთად კარგად გააზრებული კონცეფციის ფარგლებში წარმოაჩინა დედაქალაქის მთავარ მუზეუმში დაცული კოლექციების სრული სპექტრი.

1910 წელს ზუბალაშვილების უპოვართა სახლში გახსნილმა თბილისის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმმა ასწლოვანი ისტორიის მანძილზე სხვადასხვა სივრცე გამოიცვალა და საბოლოოდ ქარვასლის შენობაში დაიდო ბინა.

ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმის ფონდებში დაცულია თბილისის ისტორიისა და კულტურის ამსახველი 50 000-მეტი უმნიშვნელოვანესი ექსპონატი ენეოლითიდან დღევანდელ დღემდე. ქარვასლაში სულ 10 ფონდია: არქეოლოგიის, სახვითი ხელოვნების, ძვირფასი ლითონების (ვერცხლი), იარაღის, ფოტო ნეგატივების, საარქივო დოკუმენტების (რუკები, გეგმები, აფისები პროგრამები), ქსოვილების (ტყავი, ბეწვეული, ხალიჩები, ტანისამოსი, აქსესუარები), ხის (ავეჯი, საყოფაცხოვრებო ნივთები), საოჯახო ნივთების (სპილენძი, კერამიკა, ფაიფური, მინა) და ნუმიზმატიკის (სპრაგისტიკა, ფალერისტიკა).

გეოპოლიტიკურად და კულტურულად უმნიშვნელოვანესი ქალაქის, თბილისის ისტორია თითქმის სრულად გახლავთ თავმოყრილი თბილისის ისტორიის მუზეუმში. თავად მუზეუმი კი 2005 წლიდან საქართველოს ეროვნული მუზეუმის შემადგენლობაშია.

თბილისის ისტორიის მუზეუმი მიეკუთვნება იმ იშვიათ მუზეუმთა რიცხვს, როდესაც უძრავი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლში განთავსებულია მოძრავი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები... აქ წარსული ორგანულად ეხმიანება თანამედროვეობას, ხოლო გარემო და ისტორიული სივრცე განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და დანიშნულებას მატებს დედაქალაქის მთავარ მუზეუმს.

კურსდამთავრებული ფოტოგრაფები

მეჩითოვი-დეისაძის ფოტოსახელოსნოს სადიპლომო გამოფენა 10 იანვრამდე გაგრძელდება

ია ვეკუა

დეკემბრის ბოლო დღეები წლის შეჯამების პერიოდია. განვლილ სასწავლო წელს აჯამებს იური მეჩითოვისა და მაია დეისაძის ფოტოსახელოსნოც და ქარვასლაში კურსდამთავრებულთა სადიპლომო ნამუშევრების ჯგუფურ გამოფენას აწყობს. გამოფენა უკვე მიმდინარეობს, მისი ნახვის საშუალება კი ნებისმიერ მსურველს მომავალი წლის 10 იანვრამდე ექნება. ამ გამოფენით, სულ მცირე, იმას მაინც გაიგებთ, როგორი თაობა მოდის ფოტოგრაფიაში, როგორ ფორმას, შინაარსსა და ხასიათს ანიჭებენ უპირატესობას და გაიგებთ იმასაც, თუ როგორ გადასცემენ მათ საკუთარ ცოდნას უკვე გამოცდილი ფოტოგრაფები.

თუ არ იცი, რომ ქარვასლა მხოლოდ დამწყები ფოტოგრაფების გამოფენას მასპინძლობს, თავი შეიძლება პროფესიონალთა ნამუშევრების გარემოცვაში წარმოიდგინო, თუმცა შემდეგ, როდესაც ავტორების სახელებს ჩაიკითხავ და არც ერთი მათგანი არ გეცნობა, ყველაფერი თავის ადგილზე დგება. ამ ხარისხს აღნიშნულ ფოტოსახელოსნოში სამთვიანი კურსების გავლის შემდეგ აღწევ და არ აქვს მნიშვნელობა, სწავლის დაწყებამდე, გქონდა თუ არა ფოტოგამოცდილება.

სწორედ ასეთთა შორისაა გამოფენის ერთ-ერთი მონაწილე გვანცა თვარაძე, რომელმაც ფოტოგრაფიასთან ურთიერთობა სწორედ მაშინ დაიწყო, როდესაც მეჩითოვი-დეისაძის ლექციების მსმენელი გახდა. ლექციების სერია კი ანბანის შესწავლიდან დაიწყო - ფოტოაპარატთან გაშინაურებით, მისი ტექნიკური მახასიათებლების შესწავლით, შემდეგ სწავლების პროცესი უფრო შემოქმედებითი გახდა: ისწავლა კომპოზიცია, განათება და სხვა. ერთი სიტყვით, ყველაფერი ისე მიმდინარეობს, როგორც ალბათ ყველა ფოტოსკოლაშია - აქ განსხვავება მხოლოდ პედაგოგებშია.

გვანცა თვარაძე: «ფოტოგრაფიასთან შეხება არასდროს მქონია. ამ ხელოვნებისადმი ინტერესი ძალიან კარგი ფოტოაპარატის შეძენის შემდეგ გამიჩნდა. მქონდა ფოტოაპარატი, მაგრამ არ ვიცოდი, მისი შესაძლებლობები როგორ გამომყენებინა, არ მინდოდა, მხოლოდ სამოყვარულო, საოჯახო ფოტოებისთვის გამეცდინა. ამიტომ მივიღე გადაწყვეტილება, ფოტოგრაფია შემესწავლა. კარგად მახსოვს ჩემი პირველი დღეები ფოტოსახელოსნოში - არაფერი ვიცოდი, მაგრამ ის მამშვიდებდა, რომ ჩემნაირი ბევრი იყო. გავიდა სამი თვე და, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ფოტოგრაფია სწორედ ის საქმეა, რისი კეთებაც მინდა, ამ ხელობამ გამიტაცა და ჩემს მომავალს სწორედ მასში ვხედავ. ფოტოგრაფიისადმი ინტერესი იური მეჩითოვთან ურთიერთობამაც გამიძლიერა. პროფესიონალიზმის გარდა ის საინტერესო ადამიანია და შემოქმედებისთვის ბევრ დადებით იმპულსს გაძლევს».

სადიპლომო თემად გვანცას სიმბოლოები შეხვდა. თემის გაშლის საშუალება მას ბაკურიანის სასაფლაოზე მიეცა, სადაც საბჭოთა სიმბოლიკებით გაფორმებული საფლავები გადაიღო, აქვეა მის მიერ გადაღებული ბაკურიანში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებიც.

როგორც ფოტოსკოლის ერთ-ერთი მასწავლებელი, მაია დეისაძე ამბობს, სადიპლომო ყველა კურსდამთავრებულს ორ-ორი თემა მისცეს - თავისუფალი და ერთიც კონკრეტული. «თავისუფალი თემა შემოქმედებითი თვისებების გასავარჯიშებლადაა აუცილებელი, კონკრეტული კი დამწყებ ფოტოგრაფს პროფესიული უნარების გამომუშავებაში ეხმარება. მეც და იური მეჩითოვიც სადიპლომო ნამუშევრების მომზადების პროცესში აქტიურად ვიყავით ჩაბმული, ყველა სტუდენტთან ინდივიდუალურად ვმუშაობდით, ყოველ ნამუშევარზე ვაძლევდით შესაბამის შენიშვნებს. ისინიც ბოლომდე იზიარებდნენ შენიშვნებს და, როგორც ხედავთ, საუკეთესო შედეგებიც მივიღეთ. მასწავლებლის გარეშე ნებისმიერი რამის სწავლა რთულია. ისინი შემოქმედებითად თავისუფლები არიან, მაგრამ აუცილებლად სჭირდებათ ადამიანი, ვინც ადამიანებთან, გარემოსთან, ბუნებასთან ურთიერთობას ასწავლის», - ამბობს მაია დეისაძე.

გამოფენაზე თითქმის ყველანაირ ფოტოჟანრს შეხვდებით: აქ არის დადგმული და დოკუმენტური ფოტოგრაფია, მოდა, რეპორტაჟი, ბუნება და პორტრეტები. განსაკუთრებით საინტერესოა გიორგი სირაძის სერია, რომლითაც ფოტოგრაფი ქართველი გოთების ყოველდღიურობას გვაცნობს - ამ სუბკულტურის წარმომადგენლები მართლაც ძალიან საინტერესო ადამიანები არიან და არა მხოლოდ გარეგნული იმიჯის გამო. ასევე აღსანიშნავია ნიკოლოზ ივანიშვილის ფოტორეპორტაჟი თბილისის მოდის კვირეულიდან, სოსო ახალმოსულიშვილის საპროტესტო აქციის ამსახველი კადრები და სოფო კარიაულის ომის ვეტერანების შავ-თეთრი, ძალიან დინამიკური და მეტყველი შავ-თეთრი სერია. ამ ყველაფრის ნახვა კი საახალწლო არდადეგებისას შეგიძლიათ.

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130028878

შემსყიდველი	შპს"ქ.ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრი"
ტენდერის გამოცხადების თარიღი	26.12.2013 14:32
წინადადებების მიღება იწყება	30.12.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	03.01.2014 12:30
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	15460 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	03200000-ბურღულეული, კარტოფილი, ბოსტნეული, ხილი და თხილეული
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	03200000-ბურღულეული, კარტოფილი, ბოსტნეული, ხილი და თხილეული
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხილეთ სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	2014 წლის 9 იანვრიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	100 ლარი
გარანტიის ოდენობა	155 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130028830

შემსყიდველი	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
ტენდერის გამოცხადების თარიღი	25.12.2013 19:54
წინადადებების მიღება იწყება	31.12.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	06.01.2014 15:30
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	49543 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	50500000-ტუმბოების, სარქველების, ონკანებისა და ლითონის კონტეინერების, ასევე, მანქანა-დანადგარების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	50500000-ტუმბოების, სარქველების, ონკანებისა და ლითონის კონტეინერების, ასევე, მანქანა-დანადგარების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხილეთ სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	250 ლარი
გარანტიის ოდენობა	495 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130028831

შემსყიდველი	ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის თბილისი 2015-ს საორგანიზაციო კომიტეტი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	25.12.2013 20:18
წინადადებების მიღება იწყება	11.01.2014 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	16.01.2014 12:30
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	3097479 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	45400000-შენობის დასრულების სამუშაოები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	45400000-შენობის დასრულების სამუშაოები, 45453000-კაპიტალური რემონტი (შეკეთება) და რეკონსტრუქცია
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ. სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	31.01.2015
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	12400 ლარი
გარანტიის ოდენობა	30975 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130028833

შემსყიდველი	ქ. თბილისის მერია
ტენდერის გამოცხადების თარიღი	25.12.2013 20:48
წინადადებების მიღება იწყება	11.01.2014 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	16.01.2014 12:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	12300 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	45300000-სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	45316100-გარეგანათების მოწყობილობების მონტაჟი
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ. სატენდერო დოკუმენტაცია.
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების გაფორმებიდან 40 (ორმოცი) დღე.
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	50 ლარი
გარანტიის ოდენობა	123 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130028832

შემსყიდველი	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
ტენდერის გამოცხადების თარიღი	25.12.2013 20:20
წინადადებების მიღება იწყება	31.12.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	06.01.2014 13:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	22985 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	98300000-სხვადასხვა მომსახურება
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	98300000-სხვადასხვა მომსახურება
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხილეთ სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	იხილეთ სატენდერო დოკუმენტაცია
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	100 ლარი
გარანტიის ოდენობა	230 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130028836

შემსყიდველი	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
ტენდერის გამოცხადების თარიღი	25.12.2013 21:29
წინადადებების მიღება იწყება	11.01.2014 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	16.01.2014 12:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	55540 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	34300000-ნაწილები და აქსესუარები სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ძრავებისათვის
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	34300000-ნაწილები და აქსესუარები სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ძრავებისათვის
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხილეთ სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	იხილეთ სატენდერო დოკუმენტაცია
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	333 ლარი
გარანტიის ოდენობა	555 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130028834

შემსყიდველი	შემოსავლების სამსახური
ტენდერის გამოცხადების თარიღი	25.12.2013 21:03
წინადადებების მიღება იწყება	11.01.2014 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	16.01.2014 14:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	69300 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	18200000-გარედან ჩასაცმელი ტანსაცმელი
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	18210000-ქურთუკები/პალტოები, 18211000-კეპები, 18235100-პულოვერები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ. ტექნიკური დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 დღე
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	693 ლარი
გარანტიის ოდენობა	693 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130028841

შემსყიდველი	შპს აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა
ტენდერის გამოცხადების თარიღი	26.12.2013 00:14
წინადადებების მიღება იწყება	11.01.2014 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	16.01.2014 12:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	1500 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	33100000-სამედიცინო მოწყობილობები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	33100000-სამედიცინო მოწყობილობები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ.სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	იხ.სატენდერო დოკუმენტაცია
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	15 ლარი
გარანტიის ოდენობა	15 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

ხელბურთელები მსოფლიო საკვალიფიკაციოსთვის ისრაელში ემზადებიან

პირველი გვერდიდან

საქართველოს ხელბურთელთა ნაკრები თურქეთთან მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო თამაშისთვის მოსამზადებლად გუშინ ისრაელში გაემგზავრა, სადაც რამდენიმე ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს. ჯორჯე რასიჩის გუნდი მოგვიანებით ანკარაში გადაინაცვლებს, სადაც 2 იანვარს მნიშვნელოვანი თამაში ელის.

მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო თამაშების წინ საქართველოს ხელბურთელთა ნაკრები ისრაელში ორ ამხანაგურ შეხვედრას ჩაატარებს. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ჯორჯე რასიჩმა ტურნეზე 14 ხელბურთელი წაიყვანა. ორი მოთამაშე - რევაზ ჭანტურია და სერგო დათუკაშვილი ნაკრებს თურქეთში, შესარჩევი მატჩის წინ შეუერთდება.

საქართველოს ნაკრები დღეს თელ-ავივშია და 30 დეკემბრამდე ივარჯიშებს. 27 და 28 დეკემბერს კი ამდოდსა და რიშონში ამხანაგური მატჩები აქვს ისრაელის ნაკრებთან. 29 დეკემბერს, ვარჯიშის წინ, გუნდი იერუსალიმს მოინახულებს, 31 იანვარს კი ქართველები ანკარაში იქნებიან.

ჯორჯე რასიჩი: „რამდენიმე მოთამაშეს მცირე ტრავმა აქვს, მაგრამ ეს ხელს ვერ შეგვიშლის შესარჩევი მატჩებისთვის მზადებაში. ამ საქმეში ისრაელში გასამართი ორი მატჩი ძალიან გამოგვადგება. მზად ვართ, ვიბრძოლოთ მსოფლიო ჩემპიონატის ფლეი ოფში გასასვლელად“.

ირაკლი ჩიქოვანი: „კარგად ვემზადებით და ორი ამხანაგური მატჩი შეთამაშებაში ძალიან დაგვეხმარება. ანკარაში სრულ მზადყოფნაში ჩავალთ“.

ვლადიმერ რუსია: „ხელის ტრავმა აღარ მაწუხებს და მზად ვარ, მთელი დატვირთვით ვითამაშო. თურქეთში მოსაგებად მივდივართ“.

ირაკლი კეკელიძე (მწვრთნელი): „მცირე ტრავმები არის, მაგრამ სერიოზული - არაფერი. ძალიან კარგი და სასარგებლო ტურნე გვაქვს ისრაელში. იერუსალიმში ჩასასვლელადაც განსაკუთრებით ვემზადებით. დღეს საღამოს, გამგზავრებამდე, თურქეთის თამაშის ვიდეოფირის განხილვა გვექნება“.

ბექარ ორჯონიკიძე (მწვრთნელი): „თურქეთ-ლიტვის თამაში მწვრთნელებმა უკვე გავარჩიეთ. თურქეთს ძალიან გაუჭირდა შეტევაში. პროგნოზები არ მიყვარს, მაგრამ თუ თურქეთმა ისევე ითამაშა, როგორც ლიტვასთან, აუცილებლად მოვუგებთ. ეს თამაში აუცილებლად უნდა მოვიგოთ“.

ზურაბ კაკაბაძე (ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტი): „გუნდის მოტივაცია განსაკუთრებულია. 2 იანვრის მატჩი ანკარაში ძალიან მნიშვნელოვანია და მხოლოდ გამარჯვებისთვის ვითამაშებთ. ეს კარგ შანსს მოგვცემს ფლეი ოფში გასასვლელად“.

თამაზ თევზაძე (სპორტის მინისტრის მოადგილე): „სპეციალურად მოვედი, რომ გუნდს გზა დავუღოცო. დიდი იმედი მაქვს, თურქეთს ორჯერვე დავამარცხებთ და გადამწყვეტი მატჩი შინ, 8 იანვარს, ლიტვის ნაკრებთან გვექნება“.

ტურნირს ჯერჯერობით ლიტვის ნაკრები ლიდერობს (4 ქულით). 5 იანვარს თურქეთს თბილისის სპორტის სასახლეში ვმასპინძლობთ, 8 იანვარს აქვე ვეთამაშებით ლიტვას, ხოლო საკვალიფიკაციო მატჩებს 11 იანვარს ფინეთში დავასრულებთ.

ფლეი ოფში მხოლოდ ჯგუფის გამარჯვებული გადის, აქედან მსოფლიო ჩემპიონატამდე კი ერთი ნაბიჯია. წილისყრა იანვრის ბოლოს ჩატარდება, რის შემდეგაც ფლეი ოფის წყვილები გაირკვევა. ორი მატჩის (შინ და სტუმრად) შედეგად გამარჯვებული გავა მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც 2015 წლის იანვარში ყატარში ჩატარდება.

2 იანვარს, ანკარაში, თურქეთ-საქართველოს მატჩი ჩვენი დროით 20:00 საათზე დაიწყება. მსაჯები ჩეხეთიდან არიან - მილან ჰაიეკი და კარელ მაქო. დელეგატი ბულგარელი ანდრეი ანდრეევია.

საქართველოს ნაკრები:

მეკარეები: შოთა თევზაძე (ბაკეუ, რუმ.), გიგა ტორონჯაძე (ტრაბზონსფორი, თურ.).

ხაზის მოთამაშეები: გიორგი გვაზავა (სტუ), უჩა მაისურაძე (ბათუმი).

უკანა სამეული: სერგო დათუკაშვილი (ას სადი, ლიბ.), ვლადიმერ რუსია (ბაკეუ, რუმ.), ირაკლი ჩიქოვანი (ტიმიშოარა, რუმ.), რატი მსხვილიძე (ტრაბზონსფორი, თურ.), ლექსო წითელიშვილი (სამტრედია), ზურაბ სიმონია (სტუ), თემურ ორჯონიკიძე (სტუ), აკაკი ტალახაძე.

კუთხის მოთამაშეები: რევაზ ჭანტურია (სტრუმიცა, მაკედ.), უჩა გამზარდია (ბათუმი), ოთარ ამირანაშვილი (სტუ), ზურაბ აბრამიშვილი (სტუ).

მთავარი მწვრთნელი: ჯორჯე რასიჩი (სერბეთი).

მწვრთნელები: ბექარ ორჯონიკიძე, ირაკლი კეკელიძე.

ექიმი: ლევან ლინნიკი.

2015 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ხელბურთში.

კვალიფიკაცია. ევროპის პირველი ჯგუფი

ლიტვა - 4 ქულა, საქართველო - 2, ფინეთი - 2, თურქეთი - 0

30 ოქტომბერი
ლიტვა - **საქართველო** 23:17
ფინეთი - თურქეთი 26:20
3 ნოემბერი
თურქეთი - ლიტვა 20:23,
საქართველო - ფინეთი 26:19
2 იანვარი
ფინეთი - ლიტვა
თურქეთი - **საქართველო**
4 იანვარი
ლიტვა - ფინეთი
5 იანვარი
საქართველო - თურქეთი
8 იანვარი
საქართველო - ლიტვა
თურქეთი - ფინეთი
11 იანვარი
ფინეთი - **საქართველო**
12 იანვარი
ლიტვა - თურქეთი

ფლეი ოფში გადის მხოლოდ ჯგუფის გამარჯვებული.

შენგელია NBA-ს დაუბრუნდა და ჩიკაგოსთან 3 წუთს ითამაშა

რამდენიმედღიანი განშორების შემდეგ, თორნიკე შენგელია NBA-ს დაუბრუნდა. ამ ხნის განმავლობაში ქართველმა ფორვარდმა განვითარების ლიგაში ორი მატჩი ჩაატარა, სადაც „ბრუკლინ ნეთსის“ სატელიტ გუნდ „სპრინგფილდ არმორში“ საშუალოდ 17 ქულას, 5 მოხსნას და 2 პასს ითვლიდა 29.5 წუთში.

„ნეთსში“ დაბრუნებულმა შენგელიამ საშობაო მატჩში ითამაშა „ჩიკაგოს“ წინააღმდეგ, თუმცა მას და მის D-ლიგის მეგზურ ტაიშონ ტეილორს მხოლოდ 2.52 წუთი დაუთმეს. ორივე მათგანს 1 მოხსნა და 1 დაკარგვა ჰქონდა, ჩიკაგოელთა ფარისთვის კი არ შეუტევიათ. ბრუკლინელებმა ისევ წააგეს, თან უიმედოდ და საკუთრი ქომაგების თვალწინ. ლიგის არაფრით გამორჩეულმა „ბულსმა“ ბრუკლინში თამაში ისე მოიგო, საკუთრი უპირატესობა ეჭქვქვეშ არ დაუყენებია -95:78.

„ბრუკლინს“ 9 მოგება და 19 წაგება აქვს, 15-გუნდიან აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-12 ადგილს იკავებს და მომდევნო მატჩს 27 დეკემბერს ზაზა ფაჩულიას „მილუოკის“ წინააღმდეგ ითამაშებს. ფაჩულია ტრავმირებულია და ამ შეხვედრაში მონაწილეობას ვერ მიიღებს.

რაფაელისთვის ჰარდიც გრუნტი იყო

ნატა დავიდოვა

ATP ისვენებს. ახალი სეზონის წინ ყველაფერი გადასაჭრელი იქნება. წამოვა ბევრი კითხვა. და ბიჭები დაიწყებენ კიდევ ერთი მარათონს, რომელიც ნოემბერში დევისის თასის ფინალით დასრულდება. რამდენად სტაბილური იქნება პირველი სამეული, რომელსაც უკვე მიუახლოვდა ხუან მარტინ დელ პოტრო? ენდი მარიმ მოიგო უიმბლდონი, გახდა ჩოგბურთის შონ კონერი და ბრიტანელმა იცის, რომ როიალური ბონუსის შენარჩუნება მის მოგებაზე ძნელი იქნება. მარიმ გაუშვა ძველი მწვრთნელი და სეზონს მრჩეველის გარეშე დაიწყებს. ესპანელი საკუთარი თავის კონსილიერი გახდა და სოლიდურ თანხას დაზოგავს. ჯერ დაზოგავს და ავსტრალიის ღია ჩემპიონატის შემდეგ ფერერი გადახედავს პერსპექტივებს. როჯერ ფედერერი პრო ტურის ინდიანა ჯონსია და ლეგენდა დაბრუნდება. როჯერი უნდა დაბრუნდეს. ყველასთვის უკეთესი იქნება. პირველ რიგში, როჯერისთვის. რაფაელ ნადალმა ბევრი სარეიტინგო ქულა უნდა დაიცვას. და ეს იცის სერბმაც. რომელიც ნოვაკია. რომელმაც სეზონი ნადალზე უკეთ დახურა და რომელმაც დაისვენა. ჯოკოვიჩი მელბურნის მოქმედი ჩემპიონია. სეზონი იწყება.

ყველა საფარზე სტაბილურად თამაში ძალიან ძნელია. ამას აკეთებდა ივან ლენდლი და რკინის კაცმა ვერ მოიგო უიმბლდონი. ამას აკეთებდა ანდრე აგასი და ამერიკელმა ბევრი ჯეკპოტი ანაბოლიკებით მოხსნა. ამას აკეთებდა პიტ სამპრასი. გრუნტზე ბოლომდე ვერ გადიოდა და პიტი მაინც პიტი იყო. ლეგენდა. როჯერ ფედერერი ყველაზე ლეგენდარული ტიპია. რომელმაც მოიგო ყველაფერი. მოიგო ყველა ის ტურნირი, რომელიც მის დონეს შეეფერება. და რომელიც შარშან ცოტა დაღლილი იყო. ფედერერმა დაისვენა, მოიგო ჰალეს ფინალი და როჯერი ქარიზმით და გამოცდილებით იწყებს ახალ სეზონს. ფედერერი უიმბლდონის ბოსი იყო და ბოსი ბრუნდება. მარი, ნადალი, სერბი და დელ პოტრო როჯერს იცნობენ. იციან, რომ ფედერერი განსაკუთრებულია. როჯერი ადრე კორტზე ხატავდა. შარშან ფედერერის გუაში ვიღაცამ მოიპარა და ტილოზე ბევრი ფერი არ გადავიდა. ფედერერიც სეზონის სტარტს ელოდება. როჯერი შარშანდელ როჯერზე მეტი სიღრმით, მოტივაციით გააკეთებს საქმეს.

რაფაელ ნადალი და ნოვაკ ჯოკოვიჩი

დღეს კონკრეტული საფარის მიხედვით კარგი ბიჭები გავიაროთ.

ჰარდი

	მოგება/წაგება	%
1. **ნოვაკ ჯოკოვიჩი**	53:5	91.4
2. **რაფაელ ნადალი**	36:4	90.0
3. **ენდი მარი**	26:5	83.9
4. **ხუან მარტინ დელ პოტრო**	42:12	77.8
5. **მილოშ რაონიჩი**	36:12	75.0
6. **ერნესტს გულბისი**	24:9	72.7
7. **როჯერ ფედერერი**	28:11	71.8
8. **რიშარ გასკე**	39:16	70.9
9. **მარინ ჩილიჩი**	14:6	70.0
10. **ტომაშ ბერდიხი**	37:17	69.6

ნოვაკმა სეზონი 7 მოგებული ფინალით დაასრულა და ექვსი ფინალი სერბმა ჰარდზე წამოიღო. ამერიკის ღია გარჩევებში, რაფაელ ნადალთან ფინალის (9 სექტემბერი) ვერმოგების შემდეგ, ჯოკოვიჩს ჰარდზე არ წაუგია. ძალიან კარგი იყო ჰარდზე ნადალიც, რომელმაც ამ საფარზე პირველი თამაში მხოლოდ 6 ოქტემბერს ჯოკოვიჩთან ჩინეთში წააგო. რაფაელმა ცუდად დაასრულა სეზონი, მაგრამ სერბზე სტაბილური, დომინანტური იყო და რეალურად დაიმსახურა სეზონის ბოლოს რეიტინგის პირველი ადგილი. ახალ სეზონში რაფაელმა ბევრი ქულა ჰარდზე უნდა დაიცვას. ფედერერი ამ საფარზე ნონფაქტორი იყო. ალბათ, მოუმატებს მარი, რომელსაც ნებისმიერი ტურნირის მოგება შეუძლია. დელ პოტრომ საუკეთესოდ უნდა ითამაშოს. თუ საუკეთესოების დაშლა უნდა. არგენტინელი დაბრუნდა. საბოლოოდ დაბრუნდა. დელ პოტრო სახიფათოა და უკვე იქვე, ჯეკპოტთან ტრიალებს. ბერდიხი სადღაც გააგდებს ფავორიტს, მივა ფინალამდე, სტაბილურად მივა მეოთხედფინალამდე და ტომაში სეზონის ბოლოს მასტერსის თასზე გავა. დანარჩენებიც ბერდიხის პერსპექტივით ითამაშებენ.

გრუნტი

	მოგება/წაგება	%
1. რაფაელ ნადალი	39:2	95.1
2. ნოვაკ ჯოკოვიჩი	15:3	83.3
3. დავიდ ფერერი	21:6	77.8
4. სტანისლას ვავრინკა	24:7	77.4
5. ჟო-ვილფრედ ცონგა	12:4	75.0
6. ფაბიო ფონინი	28:10	73.7
7. ტომი რობრედო	25:10	71.4
8. როჯერ ფედერერი	12:5	70.6
9. ტომი ჰაასი	14:6	70.0
10. კევინ ანდერსონი	11:5	68.8

რაფაელ ნადალი ამ საფარზე ჯონი ქეშია. ესპანელი გრუნტზე ისვენებს. სხვები ნადალთან არ ჩანან. გრუნტზე ესპანელი ერთი და ძალიან მარტივი ტაქტიკით თამაშობს - არ უნდა წაგოს. ეს ტაქტიკა მუშაობს და ეს ტაქტიკა აპრობირებულია. თუ რფაელი გრუნტზე აგებს, პრო ტურზე უქმეები ცხადდება, იმდენად მოულოდნელია ნადალის შეცდომა ნელ საფარზე. როლან გარო ესპანელის საყვარელი ტურნირია. პარიზში თითქმის არ აგებდა ბიორნ ბორგი (49:2) და შვედი იქ იყო თორი. ბორგმა პარიზში წაგო თავის პირველ ტურნირზე (1973, მეოთხე წრეში, ფლავიო პანატასთან). მოიგო შემდეგი ორი ტურნირი, ვერ გაიარა კიდევ ერთხელ პანატა (1976) და დაიწყო წაუგებელი სერია - ზედიზედ 28 მოგებული თამაში და 4 ჯეკპოტი. ბორგი საუკეთესო იყო. ნადალი გრუნტზე ბორგს უჯოკრავს. შარშან ესპანელმა მხოლოდ ორჯერ ვერ მოიგო გრუნტზე - ვინია დელ მარის ფინალში არგენტინელ ჰორასიო სებალიოსთან და მონტე-კარლოში - ჯოკოვიჩთან. სხვა ტურნირებზე ესპანელი იწყებდა და იგებდა. რაფაელ ნადალი გრუნტზე პერმანენტული ფავორიტია. ნადალი როლან გაროზე - 59:1. რაფაელს ხუთი წლის წინ, მეოთხე წრეში, რობინ სოდერლინგმა ოთხ წრეში მოუგო. ხდება ხოლმე. ნადალი იქ აღარ აგებს.

ბალახი

	მოგება/წაგება	%
1. **ენდი მარი**	12:0	100
2. **ნიკოლა მაიუ**	12:2	85.7
3. **ნოვაკ ჯოკოვიჩი**	6:1	85.7
4. **მარინ ჩილიჩი**	5:1	83.3
5. **როჯერ ფედერერი**	5:1	83.3
6. **ფელიციანო ლოპესი**	9:2	81.8
7. **ხუან მარტინ დელ პოტრო**	7:2	77.8
8. **მიხაილ იუჟნი**	7:2	77.8
9. **ტომაშ ბერდიხი**	6:2	75.0
10. **ლეიტონ ჰიუიტი**	9:3	75.0
11. **ანდრეას სეპი**	6:2	75.0
12. **ფერნანდო ვერდასკო**	6:2	75.0

ნიკოლა მაიუ უიმბლდონზე არ უნდა შეუშვან, ფრანგი ჩადის ლონდონში, არ აგებს თავის ჩაწოდებას, ვერ იღებს სხვის ჩაწოდებას და იწყება დაუსრულებელი საჩოგბურთო კომპოზიციები ბევრი იმპროვიზაციით და სადიზმით. მაიუმ და იზნერმა სამი წლის წინ გარისკეს საკუთარი ჯანმრთელობით და მეხუთე სეტი 170:168 დამთავრდა ჯონის სასარგებლოდ, რომელიც შემდეგ წრეში ვერ დადიოდა. ჯონი გავარდა და მაიუსთან მისტერ იზნერმა 113 ეისი გაუშვა. ფრანგმა - 103. მაიუმ შარშან ორი ფინალი მოიგო. ორივე ბალახზე. მაიუს კარიერაში პირველი ორი მოგებული ფინალი. და ფრანგი ბალახზე მეორე იყო. მისტერ მარის შემდეგ. რომელმაც დაასვენა დაკომპლექსებული ბრიტანეთი, მოიგო უიმბლდონი და შონ კონერიმ ტვიდის პიჯაკიც გაიხადა. ჯეიმს ბონდმა პიჯაკი იქვე მიაგდო და ენდის გამარჯვება მიულოცა. შონი კარგი, ერუდირებული, გონიერი ბაბუაა. მარიმ ის ფინალი ივან ლენდლთან ერთად მოიგო. მარიმდე უიმბლდონის ბოლო ბრიტანელი ჩემპიონი იყო ფრედ პერი (1936). როიალურმა ტურნირმა ლოკალური ჩემპიონი მიიღო. და დიდი ბრიტანეთი ბედნიერია.

ჭრიკიშვილმა 2013 წელი იპონით დაასრულა

პირველი გვერდიდან

არის კიდევ ერთი საუკეთესოს წოდება - ქართველ ძიუდოისტს ევროპის ძიუდოს კავშირი 81 კგ წონითი კატეგორიის ევროპის საუკეთესო და პერსპექტიულ ძიუდოისტად ასახელებს. ყოველ შემთხვევაში, საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტის, დავით ქევხიშვილის თქმით, 81 კგ-ში მსოფლიო რეიტინგის პირველ ნომერს ავთანდილ ჭრიკიშვილს ასეთი აღიარება ელის.

2013 წლის საუკეთესო სპორტსმენი ოქროს შუალედს ეძებს მეტოქესთან და იმას აკეთებს, რისი გაკეთებაც იმ კონკრეტულ მომენტში შესაძლებელია. თუმცა, აიფონისა და ანდროიდის ხანაში ჭრიკიშვილი მობილურზე პრინციპულად უარს ამბობს - არ უყვარს ყურადღების ცენტრში ყოფნა, არ უყვარს ინტერვიუ, მობილურზე საუბარი. ასე რომ, მასთან დაკავშირება ძმის - თემო ჭრიკიშვილის მოძებნით მოხერხდა.

„არ ველოდი, თუ წლის საუკეთესო სპორტსმენად დამასახელებდნენ. ერთადერთი, რასაც ველოდი, შედეგები იყო. ბევრი ვიწვალე, კარგად მოვემზადე, თავი არ დამიზოგავს. ვიცოდი, რომ მედლებს ავიღებდი.“

- 2010 წელს დუბლი შეასრულე - ახალგაზრდებში ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონი გახდი. ასეთი შედეგების მერე თითქოს დაიკარგე. რა იყო ამის მიზეზი - დიდების ნაკრებში გადასვლა, მასთან შეგუება, თუ ავსტრიელი მწვრთნელი პეტერ ზაიზენბახერი?

- პრინციპში, ცოტა ჩემი ბრალი იყო, ცოტაც - ზაიზენბახერის.

ახალგაზრდულიდან დიდებში გადასვლა გარკვეულ ადაპტაციას მოითხოვს. დროა საჭირო, რომ შეეგუო. აქ მეტი ძალა გჭირდება, სხვა აზროვნება. ერთი სიტყვით, გარკვეული თვალსაზრისით უცხო გარემოში მოხვედრილს შეგუება გჭირდება, ცოტა დასვენებაც, რაც ზაიზენბახერთან არ გამოდიოდა.

ზაიზენბახერი მანქანასავით იყო - მკაცრ გეგმას მიჰყვებოდა. შეგეძლო თუ არა, ვარჯიშს გაიძულებდა.

- დღეს როგორაა საქმე, ფაქტია, რომ ირაკლი უზნაძის ხელში გუნდი აშკარად გაიხსნა. მოიგე ევროპის ჩემპიონატი, მსოფლიოზე - ვერცხლი. გუნდურში ორივე შემთხვევაში ჩემპიონი გახდი...

- ირაკლისთან ყველაფერი სხვაგვარადაა. ჩვენია და იცის ჩვენი ბუნება, ხასიათი - საქმეს ადამიანურად უდგება. ტატამს მიღმაც ძალიან მეგობრულია, ვარჯიშისას - მკაცრი და სამართლიანი. ამასთან, მუდმივად რეჟიმში ვყავართ, გვაკონტროლებენ, ღამით დროულად ვიძინებთ თუ არა... თუ რამე გაწუხებს, ძალიან არ დაგტვირთავს, დასვენების საშუალებას მოგცემს.

- წონის ლიდერი ხარ, ამასთან, მსოფლიო რეიტინგის პირველი ნომერიც. ვინ არის შენთვის უხერხული მეტოქე?

- ფრანგი ლოის პიეტრი, რომელთანაც წლეულს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში წავაგე. ისეთი ძიუდოისტია, რომელთანაც მოგებაც შეიძლება და წაგებაც.

- რიოშიც ასე იყო?

- მართალია, წავაგე, მაგრამ შედეგით მაინც კმაყოფილი ვარ, რადგან ეს ჩემი პირველი მედალი იყო მსოფლიოზე. კარგია, რომ მთელი წლის შრომა დამიფასდა.

- სუსტი და ძლიერი მხარეები...

- სუსტი, ალბათ, ის, რომ ზედმეტად თავდაჯერებული ვარ ხოლმე. დღეს ტაქტიკურ შეცდომას თუ დავუშვებ და ისე მომიგებენ. სპორტში ყველაფერი ხდება.

ძლიერი უფრო ის, რომ ორივე მხარეს ვჭიდაობ.

- ტატამზე გასვლის წინ რაიმე ჩვეულება გაქვს? ან იქნებ მუსიკით იმუხტები?

- უფრო საკუთარ თავს ველაპარაკები. ვეუბნები, ასე და ისე გააკეთე, იბრძოლე. ერთი სიტყვით, თავს ვიმხნევებ.

უფრო ვრცლად WEEKEND-ის დღვანდელ ნომერში